ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 ოქტომბერი 2004 №253 (2274) ფასი 50 თეთრი


# აქა ციხე იქა ციხემდე

## ტორპედო ნიუკასლი არ არის, მაგრამ არც თბილისი იყო სოშო

დღეს განათებულ „ლოკომოტივზე“ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ქარიზმატული დაპირისპირებაა — თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. ქუთაისელთა დამრიგებელი ოთარ გაბელია ამბობს, ჩვენთან ფრე „დინამოს“ კარგად აქვს დაცდილი და, „სლავიასი“ არ იყოს, ნიუკასლშიც მოიგებსო, „დინამოს“ მწვრთნელ გია გეგუჩაძეს კი „ნიუკასლის“ თავი ჯერ არ აქვს — წინა ტურში „თბილისთან“ ნაწნევი 0:5 დღეს ვაკეში უნდა დაავიწყოს „დინამოს“ ქომაგს. გეგუჩაძემ „ტორპედო“ და ქუთაისელთა გოლდამშენი გია მეგრელაძე შეაქო, გაბელიამ კი ისიც თქვა, მეგრელაძეს თვით ალენ ჟირესმა დაადგა თვალიო. მაგრამ სხვა რომ არაფერი, ეს „დინამო“ — „ტორპედოა “, ქართული საზომით დერბი, დერბი და კიდევ უფრო დერბი...



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 8 | 2 | 2 | 27:14 | 26 |
| თბილისი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:13 | 23 |
| ტორპედო | 12 | 6 | 5 | 1 | 17:6 | 23 |
| ბათუმი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:8 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 6 | 2 | 4 | 23:17 | 20 |
| ლოკომოტივი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:6 | 20 |
| სიონი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:28 | 10 |
| ზესტაფონი | 12 | 3 | 1 | 8 | 9:28 | 10 |
| კოლხეთი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:21 | 8 |
| დილა | 12 | 2 | 1 | 9 | 8:22 | 7 |

ზურაბ კურციკიძის ფოტო



# დაიწყო!



მერაბ [illegible] ფოტო

ხვალ „ვერის ბალი“ ალბათ არ გადაივსება, მაგრამ იქ კალათბურთი მაინც გახურდება — კვირას მე-14 ეროვნული ჩემპიონატი იწყება. ფრენას და ბურთების გარდი-გარდმო ჩატენვას არ ველით, რაკი ჩვენს ისედაც მჭლე კალათბურთს უფულობა შესჩვევია და გუნდები თვალდათვალ იშლებიან. სანახაობას არ ველით, მაგრამ შესაძლოა ახალი ჩემპიონი ვიხილოთ — „ბასკო“ აღარ არსებობს, ბიუჯეტსეკვესტრირებული „დინამო“ კი ჩემპიონატის დამდეგს მთლად საჩემპიონოდ შემართული ვერ ჩანს.

ბურთი და ვერის დარბაზი ალბათ „სტუ-ჯეოსელსა“ და ახალდაფრთიანებულ „თბილავიამშენს“ დარჩებათ. ამ უკანასკნელის თავკაც ლევან მოსეშვილს საქართველოს შერჩენილ მობურთალთაგან საუკეთესოები დაურჩევია და სხვებზე მოუთმენლად ელის ხვალინდელ დღეს.

# მუტუს ციგნობა და მამაძაღლობა არ შერჩა



## ინგლისი

ჩემპიონატი. XVI ტური

ძრიუ 2:3 შეფილდ იუნ.

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XI ტური

ალენი 2:2 კარლსრუე
ფიურტი 0:1 კიოლნი
უნტერჰახინგი 2:0 აინტრახტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XV ტური

უნიონი 2:1 ვერდერი (მ)
ზანკტ პაული 3:2 მიუნსტერი

სამხრეთ რეგიონალლიგა XIII ტური

ჰოფენჰაიმი 3:3 ბაიერნი (მ)
რეგენსბურგი 0:1 დარმშტადტი
ელვერსბერგი 1:1 ზიგენი
მიუნხენი (მ) 0:1 ვეჰენი
ნოტინგენი 3:3 შტუტგარტი (მ)

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XII ტური

ბადენი 0:1 კრინსი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XIII ტური

მარსელი 1:1 მონაკო

II დივიზიონი. XIV ტური

ამიენი 4:1 ნიორი
ბრესტი 0:0 შატორუ
რეიმსი 1:4 ლორიანი
სედანი 0:3 ლავალი
კრეტეი 2:1 ნანსი
გრენობლი 0:0 მონპელიე
*გენიონი — ტრუა 0:1-ზე შეწყდა*
ლე ავრი 1:0 დიჟონი

## ბელგია

იუპილერლიგა. XI ტური

სტანდარდი 1:4 ბრიუგე

## ჰოლანდია

I დივიზიონი. X ტური

უტრეხტი 0:0 პსვ ეინდჰოვენი

II დივიზიონი. XII ტური

აპელდორნი 4:0 ეინდჰოვენი
ვეენდამი 0:3 სპარტა
დორდრეხტი 1:0 ემენი
ექსელსიორი 2:0 ჰაარლემი
სიტარდი 2:1 ზვოლე
იგლსი 1:3 კამბური
ჰერაკლესი 5:1 მაასტრიხტი
ტელსტარი 0:0 ვენლო

## რუსეთი

პრემიერლიგა XXVIII ტური

მოსკოვი 2:3 სპარტაკი

## ირლანდია

პრემიერლიგა XXXIII ტური

*უოტერფორდი — შემროკი გადაიდო*
დროჰედა 0:3 ბოჰემიანსი
შელბურნი 0:0 კორკ სიტი
სენტ პატრიკსი 1:0 ლონგფორდი

## იტალია

სერია B. XIII ტური

კატანია 0:1 ბარი

## თურქეთი

სუპერლიგა. X ტური

ტრაბზონი 4:1 დიარბაქირი

## პოლონეთი

I ლიგა. XI ტური

ვისლა 2:0 ლეგია

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XIV ტური

არსენალი 5:2 ილიჩევეცი
კრივბასი 1:2 შახტარი
მეტალურგი (ზ) 0:2 დინამო

## ავსტრია

I დივიზიონი. XVI ტური

ავსტრია (ლ) 1:0 ალტახი
კერნტენი 3:0 ლინცერი
ლეობენი 1:1 გრატკორნი
რიდი 3:0 უნტერზიბენბრიუნი
ვიორგლი 1:0 კაპფენბერგი

---

ამირან მუჯირისთვის ეს სეზონი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. სოფიური ცეესკას ქართველი ნახევარმცველი გუნდის ლიდერია და ბოლოხანს საჭირო გოლების გატანაც „დასჩემდა".

მუჯირის წარმატებებზე ჩვენს ტრადიციულ ლეგიონერულ მიმოხილვებშიც არაერთხელ გვითქვამს, გუშინ კი ამირანს სოფიაში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ..

# თავი დინამოში მგონია

## მუჯირის წინ რუსეთია, რუსეთის წინ თურქეთი

— ცოტა უკნიდან დავიწყოთ. ერთი წლის წინ „მარეკში" თამაშობდი. ეს გუნდი ბულგარეთში საშუალო დონისა თუა...

— მართალია, მაგრამ სწორედ ამ გუნდში თამაშით მოვიკიდე ფეხი ბულგარეთში. „მარეკში" ყველაფერი კარგად ამეწყო, პრესაც კარგი მქონდა და, ასე ვთქვათ, რეკლამა გავიკეთე.

— თუმცა მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო „მარეკიდან" ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდში გადასვლა...

— გარედან ეგ მართლაც მოულოდნელი ჩანს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ცეესკას ჩემი შეძენა სურდა. ადრეც უნდა შემდგარიყო ეს ტრანსფერი, მაგრამ სოფიელებმა ბრაზილიელი იყიდეს და ერთი წლით ისევ „მარეკში" დავრჩი.

— ცეესკაში 10-ნომრიანი მაისურაც კი მიიღე. ეტყობა, თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდნენ შენზე...

— ასე გამოდის. ხომ გითხარი, დიდი ხანი მაკვირდებოდნენ და იცოდნენ, რა შემეძლო და რა არა. მიხარია, რომ საქმეები კარგად წამივიდა და ჩემი თამაშით უკმაყოფილო არავინაა.

— გოლებსაც საკმაოდ უხშირე, ამპლუა ხომ არ შეგიცვლია?

— მნიშვნელოვნად არა. ხან მარცხენა ნახევარმცველი ვარ, ხან გამთამაშებელი. გოლები კი მართლა ხშირად გამაქვს — ამ სეზონში უკვე ექვსჯერ გავიტანე.

— ქართველები სოფიაში ბლომად არიან?

— სხვათა შორის, არა. ერთადერთხელ დავინახე ტრიბუნაზე ვილაც, საქართველოს დროშას აფრიალებდა. თამაშის მერე ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერსად ვნახე. არადა, უკვე ქართულად დამლაპარაკებელი მენატრება. ძალიან იშვიათად, აქა-იქ შემთხვევით თუ შევხვდები ქართველს, ეგ არის და ეგ.

— თვლი, რომ სოფიის ცეესკა შენთვის მაქსიმუმია, თუ კიდევ წინ იხედები?

— რა თქმა უნდა, წინ ვიხედები. მით უმეტეს, რამდენიმე შემოთავაზება მაქვს და ვნახოთ...

— ჯერ გუნდში ხეირიანად არც გადასულხარ და უკვე წასვლაზე ფიქრობ?

— არა, ასეც არაა, მაგრამ უკეთესი ვარიანტი თუ გამოჩნდა, კლუბი თავადვე მოინდომებს ჩემს გაყიდვას. ბულგარეთში კლუბები ამით ირჩენენ თავს.

— და რომელი კლუბები გიწვევენ?

— ვიცი, რომ თურქული და რუსული კლუბები აქტიურობენ. განსაკუთრებით კი თურქები.

— კარიერის საქართველოში დასრულებაზე თუ გიფიქრია?

— კი და, ვფიქრობ, ასეც ვიზამ. ძალიან მინდა, კარიერა ჩემს საყვარელ „ბათუმში" დავასრულო, თუმცა იქამდე ჯერ დროა.

— მოკლედ, ისე ჩანს, ამ სეზონში პირველ ბულგარულ ტიტულს დაეუფლები — ცეესკას მჯობნი ვინმე არის?

— არა მგონია, ჩემპიონობა სხვას დავუთმოთ. ცეესკა ბულგარეთში ისეთივე გრანდია, ადრე თბილისის „დინამო" რომ იყო საქართველოში.

**ბაჩა შალამბერიძე**



---

# WWW.ადევნეთ თვალი ცოცხლად

## ამერმა სიახლეები შეუბერა

მეორე სეზონია, თბილისის „ამერი" საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს და ამ ხნის მანძილზე რამდენიმე სიახლეც დაამკვიდრა. ყოველი მატჩის წინ მეტოქისთვის კლუბის ვიმპელის ჩუქება, მატჩისწინა ფოტოს გადაღება, გოლის აღნიშვნის ყველასგან გამორჩეული რიტუალი, „ამერი" პირველი პირველლიგელია, რომელსაც ოფიციალური საიტი აქვს, ყოველწლიურად გამოსცემს სეზონისწინა და სეზონის შემაჯამებელ ცნობარებს. ახლა კიდევ ერთი ამერული სიახლეც — მისი მატჩების მსვლელობას „ამერის" საიტზე ონლაინ რეჟიმში შეგიძლიათ ადევნოთ თვალი.

ამ ბოლო სიახლის თაობაზე კომენტარი „ამერის" პრესსამსახურის უფროსს გიორგი დარჯანიას ვთხოვეთ...



ყოველი მატჩის მერე ამერელები პრესსამსახურის უფროსის დავთარს ჩაჰყურებენ-ხოლმე: რა ხდება ცხრილში?

— ხვალ „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრისას მეოთხედ გვექნება საიტზე ონლაინ რეპორტაჟი. წინა ტურში ანონსიც გავაკეთეთ, იქამდე კი ორი მატჩისას ანონსირება საჭიროდ არ ჩავთვალეთ. გვინდოდა, ჯერ შეგვემოწმებინა, როგორ გამოგვივიდოდა. რაკი სათანადო გამოცდილება არ გაგვაჩნდა, შესაძლო იყო, ხარვეზები გვქონოდა.

— ინტერნეტის მომხმარებელს თავადაც შეუძლია მატჩის დროს საიტისთვის თვალყურის დევნება, ხოლო ვისაც ამის საშუალება არ აქვს, მოდით, იმათ განუმარტეთ, რა ფორმით გადასცემთ რეპორტაჟს...

— თამაშის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე საიტზე გუნდების შემადგენლობები ქვეყნდება. თამაშის მსვლელობისას კი გოლებზე, შეცვლებზე, გაფრთხილებებზე და გაძევებებზე ვაქვეყნებთ ინფორმაციას.

— ონლაინ რეჟიმში მატჩის სტენოგრამის გადაცემაზე არ გიფიქრიათ?

— კი გვიფიქრია, მაგრამ თუ რამეს ვაკეთებთ, გვინდა, რომ ხარისხიანად გავაკეთოთ, სრული სტენოგრამის გასაშვებად კი ამ ეტაპზე მზად არ ვართ. ისე, ონლაინ რეპორტაჟებთან დაკავშირებით სხვა იდეებიც გვაქვს და ვეცდებით, თანდათან განვახორციელოთ.

— მოდით, სხვა სიახლეებზეც ვთქვათ. „ამერი" ბევრ ისეთ რამეს აკეთებს, რასაც არათუ პირველ ლიგაში, უმაღლესი ლიგის მატჩებზეც ვერ ნახავ, თუნდაც გოლის აღნიშვნის თქვენეული რიტუალი...

— ფეხბურთს მაყურებლის გარეშე ფასი არ აქვს და ამდენად თავს ვალდებულად ვთვლით, ჩვენს მატჩებზე მოსულ გულშემატკივრებს შოუს ელემენტები შევთავაზოთ. ცხადია, ეს უპირველესად ფეხბურთელების ამოცანაა — გულშემატკივარს ხარისხიანი ფეხბურთი უნდა აჩვენონ, მაგრამ დამატებით სხვა საშუალებებიც არსებობს. აი, გოლის აღნიშვნის რიტუალი ახსენეთ. „ამერი" გოლს რომ იტანს, ცნობილი სიმღერიდან, „ეს სულ ასე უბერავს", ერთ კუპლეტს ვუკრავთ. ეს თამაშს ახალისებს. კლუბის წევრებს გვესმის-ხოლმე, თამაშის წინ გულშემატკივრები ამბობენ, ნეტავ დღეს რამდენჯერ მოვისმენთ „შებერილსო". ანუ ხალხს ეს მოსწონს.

— მომავალში კიდევ რა სიახლეს შესთავაზებთ გულშემატკივარს?

— ახლა კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება. ფაქტობრივად, ჩვენ ახალს არაფერს ვიგონებთ, რაც არსად და არასდროს გაკეთებულა. უბრალოდ, ვეცნობით და ვითვალისწინებთ იმ გამოცდილებას, რაც ევროპაში არსებობს. გვინდა, რომ „ამერი" კარგი ევროპული კლუბი იყოს, თავისი გამართული საკლუბო ინფრასტრუქტურა და თუნდაც ის რიტუალები ჰქონდეს, რაზეც ვილაპარაკეთ.

**ლუკა თალაკვაძე**


საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა
ვიტ ჯორჯია — ამერი
დასაწყისი 15 საათზე
ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე
www.fcameri.ge

ბოლო დროს დერბის რაგინდარა გუნდების შეხლას არქმევენ — თბილისური დერბი, იმერული დერბი, ზღვისპირული დერბი... რითაც, ცოტა არ იყოს, დერბის მნიშვნელობა და ლაზათი გაუფასურდა, მაგრამ „დინამოს“ და „ტორპედოს“ დაპირისპირება მართლაც დერბია, ძალიან დერბი. ამ დაპირისპირების მიღმა მხოლოდ ის არ დგას, რომ „დინამო“ თერთმეტგზის ჩემპიონია, ხოლო „ტორპედო“ სამგზის — „დინამო“ — „ტორპედოს“ იქით ბევრი საძიძგილაოა — ცენტრი და პერიფერია, ჩვენ და თბილისელები, ძველი წყენა და ქვასროლიობა. კარგია, რომ ბოლო პერიოდში ამ გუნდების დაპირისპირებისას გულშემატკივართა აგრესიამ იკლო, მაგრამ ქომაგობამ არ უნდა იკლოს — „დინამო“ — „ტორპედო“ ხომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის თავისებური ნიშანსვეტია.

გუშინ „დინამომ“ და „ტორპედომ“ ცალ-ცალკე, დიღმის ბაზაზე და „ლოკომოტივის“ საპრესკონფერენციო დარბაზში მატჩამდელი პრესკონფერენციები გამართეს...

# არანაირი ნიუკასლი, ეს მხოლოდ ტორპედოა!





თბილისი. 30 ოქტომბერი. 20 საათი. ლოკომოტივი

## დინამო — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**დავით პეტრიაშვილი,** *„დინამოს“ მმართველი დირექტორი:*

— ეს თამაში საქველმოქმედო ხასიათსაც ატარებს — ამ მატჩის ორგანიზება ქომაგთა ლიგას მივანდეთ — ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას მოხმარდება. იმედია, გულშემატკივარი ამ მატჩზე ბლომად მოვა. ყველაფერ ამით მხოლოდ „დინამოსი“ კი არა, ეროვნული საქმე გაკეთდება.

— თუ სკამები სწრაფად დამონტაჟდება, 25 ნოემბერს „სპორტინგს“ ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ?

— „სპორტინგთან“ მატჩისთვის 10 000 სკამის დამონტაჟება რომც მოესწროს, ამით პრობლემა არ გადაიჭრება — სტადიონზე სხვა მრავალი სამუშაოაცაა ჩასატარებელი, მათ შორის მინდვრის ხარისხიც გასაუმჯობესებელია.

— ეროვნულ სტადიონთან კლუბი რა ფორმით აპირებს თანამშრომლობას?

— ეროვნულ სტადიონთან საიჯარო ურთიერთობა გვაქვს და ახლო მომავალშიც ასე იქნება.

— „დინამოსა“ და „ტორპედოს“ დაპირისპირებისას ხშირად მომხდარა ექსცესები — ამ მიმართულებით რას აკეთებთ?

— „დინამოს“ ფან-კლუბი კლუბის სტრატეგიას ემორჩილება და თუ რაიმე უწესრიგობა მოხდება, ეს კლუბის მინუსი იქნება, მაგრამ თბილისში ამ გუნდების თამაშისას ინციდენტები არ მომხდარა და არც მოხდება.

**გია გეგუჩაძე,** *„დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:*

— მიუხედავად წინა ტურში დიდი ანგარიშით დამარცხებისა, გუნდში ნორმალური ვითარებაა. „თბილისთან“ წაგების შემდეგ მწვრთნელ-ფეხბურთელებს გულახდილი საუბარი გვქონდა. ის მატჩი ჩვენთვის ჭკუისსასწავლებელი იქნება, ცივი შხაპის გადავლების მსგავსი. „თბილისთან“ წაგება ჩვენი ფეხბურთელების არმონდომების ბრალი არ იყო, სხვა ხელისშემშლელმა ფაქტორებმა იჩინა თავი — დაღლილობა, მეტოქის შეუფასებლობა, თავში ავარდნა.

— ტრავმიანობის მხრივ რა ვითარებაა „დინამოში“?

— რომერო ისეა ტრავმირებული, რომ ნიუკასლშიც ვერ ითამაშებს 4 ნოემბერს. ტრავმა გაურთულდა შოთა გრიგალაშვილს და ის ვარჯიშს ალბათ ერთ თვეში დაიწყებს. ვარჯიში განაახლეს დავით კვირკველიამ, ლევან სილაგაძემ და ბორის გოჩიაროვმა, თუმც „ტორპედოსთან“ მათგან ალბათ მხოლოდ კვირკველია თუ ითამაშებს. დისკვალიფიკაციის გამო „ტორპედოსთან“ არ იქნება დავით გიგაური, არადა, მისი გამოყენება „ნიუკასლთანაც“ შეიძლებოდა.

— „ტორპედოსთან“ მატჩს თავისებურ რეპეტიციად მიიჩნევთ „ნიუკასლისთვის“?

— არა, ეს მხოლოდ „ტორპედოსთან“ თამაშია.

— ნიუკასლიდან მზვერავები არ ჩამოვლენ „ტორპედოსთან“ მატჩზე?

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური შეტყობინება არ ყოფილა.

— დღევანდელ „ტორპედოზე“ რას იტყოდით?

— კარგი გუნდია, კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. „ტორპედოს“ ბომბარდირიც ჰყავს — გია მეგრელაძე ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. გამოვყოფდი „ტორპედოს“ მეკარე ზვიად სტურუასაც. ამ გუნდს საკმაოდ მოძრავი ნახევარდაცვა ჰყავს. რაც შეეხება დაცვას, „ტორპედოს“ მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული.

**დავით თავართქილაძე**

**ოთარ გაბელია,** *„ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი*

— „დინამოსთან“ მატჩისთვის ჩვეულებრივ კი ვემზადებით, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, ჩემპიონატის ლიდერს რომ ვეთამაშებით, თუმცა, რა თქმა უნდა, მოსაგებად ჩამოვედით.

— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?

— მხოლოდ ტრავმირებული გაგა ჩხეტიანი გვაკლია.

— გია მეგრელაძე ითამაშებს?

— ითამაშებს. მეგრელაძე ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა, მას ბოლო ორ ტურში არ უთამაშია და შედეგიც სახეზეა, ვერც „კოლხეთს“ მოვუგეთ, ვერც „ზესტაფონს“.

— „ტორპედოს“ ბოლო ტურებში უჭირს, არ აგებს, მაგრამ ვერც იგებს.

— ჩემპიონატის განმავლობაში ყველა გუნდს უდგას ხოლმე ჩავარდნის პერიოდი, მით უმეტეს გვიჭირს ჩვენ, „ტორპედოს“ ხომ სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი არ გაუვლია. ისე, „ვიტ ჯორჯიასთან“ მოსაგები თამაში გვქონდა, თბილისელები რამდენჯერმე მეკარე მერლანმა გადაარჩინა. ზესტაფონშიც უნდა მოგვეგო, მაგრამ არ გაგვიმართლა, ვერც „კოლხეთს“ ვაჯობეთ. მაგრამ არა უშავს, ბიჭებით მაინც კმაყოფილი ვარ, „ტორპედომ“ ხომ პირველი წრე წაუგებლად გაიარა. „დინამოსთან“ ფრეც დამაკმაყოფილებს და თუ ასე მოხდა, „დინამო“ ნიუკასლში მოიგებს. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, „სლავიასთან“ თბილისური მატჩის წინ „დინამოსთან“ ქუთაისში ფრე ვითამაშეთ და მაშინ გია გეგუჩაძეს ვუთხარი, ჩეხებს 2:0 მოუგებთ-მეთქი. „დინამოს“ ახლაც იგივეს ვუსურვებ.

— ზვიად სტურუას გარდა „ტორპედოში“ საქართველოს ნაკრების კანდიდატი კიდევ ვინ არის?

— გია მეგრელაძეზე აქვს ალენ ჟირესს თვალი დადგმული, მაგრამ როდის გამოიძახებს, ვერ გეტყვით.

— „ტორპედოსთან“ მატჩის წინ თბილისში დიდი აჟიოტაჟია. ქუთაისიდან ხომ არ აპირებენ ჩამოსვლას?

— არა მგონია, ქუთაისიდან ბევრი ქომაგი ჩამოვიდეს. ისე კი, ძალიან კარგია, „დინამოსთან“ ჩვენს მატჩს ასეთი აჟიოტაჟი რომ ახლავს. მთლად უკეთესი ის იქნება, თუ ყველა მატჩი ასეთ ინტერესს გამოიწვევს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

16 | 13

ბათუმი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო

## ბათუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ვადაჭკორია (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

*საქართველოს პროფლიგის თაოსნობით გუშინ „ბათუმი“—„ვიტ ჯორჯიას“ მატჩამდელი პრესკონფერენცია გაიმართა. ეგაა, ჟურნალისტთა კითხვებს მხოლოდ ბათუმელთა პრეზიდენტმა* ***რევაზ ჩელებაძემ*** *უპასუხა.*



— რას იტყვით ხვალინდელ მეტოქეზე?

— „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ჩემპიონია. ამ გუნდში წლეულს მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ძლიერი გუნდია და ამიტომაც ძნელ მატჩს ველი. ამ გუნდთან უარყოფითი ბალანსი გვაქვს. ვიმედოვნებ, ხვალინდელი მატჩის შემდეგ ასე აღარ იქნება.

—„სიონთან“ მარცხი რამ გამოიწვია?

— „სიონთან“ თამაშისას ფეხბურთელებს ვერ ვცნობდი. გულიანად და ჯიგრიანად არ ითამაშეს და დაისაჯნენ. თუ შემართებით არ ითამაშებენ, ნებისმიერ მეტოქესთან დამარცხდებიან. გუნდის მიზანი კი ძველი დიდების დაბრუნება და ევროტურნირებში თამაშია. მე ეს ქვეყნის პრეზიდენტსაც დავპირდი. აჭარის მთავრობა კი გვერდში გვიდგას. აწი ყველაფერი ჩვენზეა.

— მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა. ამირან გოგიტიძემ ფეხბურთი იცის. ის როგორც მწვრთნელი დღითიდღე იზრდება.

— სტადიონს რეკონსტრუქცია თუ გაუკეთდება?

— მე შევხვდი ბატონ მიხეილ სააკაშვილს, მან აღნიშნა, რომ სტადიონი მდებარეობით უნიკალურია, ამიტომ იმავე ადგილზე უნდა აშენდეს ახალი სტადიონი, რომლის პროექტიც უკვე შექმნა გერმანიაში მოსაქმიანე არქიტექტორმა ზაზა ხვიჩიამ. ეს პროექტი კანცელარიაშია და დღე-დღეზე ველოდებით მის დამტკიცებას. მშენებლობა 15 მილიონ დოლარამდე დაჯდება.

**გიორგი მურვანიძე**
**ბათუმიდან**



სასჯელმოხდილი გია მეგრელაძე „დინამოს“ შეუტევს

გორი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — თბილისი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ბოლნისი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯავარიძე; ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ფოთი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფაბიო კაპელომ ალესანდრო დელ პიეროს და მარსელო ზალაიეტას ქება არ დაიკლო

**იტალია**

**სერია A. VIII ტური**

**იუვენტუსი 2:0 რომა**

1:0 დელ პიერო (30), 2:0 ზალაიეტა (74)
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა (პესოტო 66), ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, აპია, ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 72), იბრაჰიმოვიჩი (კაპო 88)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
რომა: ძოტი, ფერარი, სარტორი (მანსინი 46), დელასი, მექსეში, კუფრე, აგილარი, პეროტა, ტოტი, მონტელა, კასანო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: დელ პიერო, ნედვედი, ემერსონი, კამორანეზი, აპია, კუფრე, პეროტა, აგილარი, დელასი
გაძევება: ემერსონი (88)
მსაჯი: კოლინა

# არ ჩახედოთ ცხრილს

## კოლინას წითელი კაპელოსთვისაც წითელია

ტურინში კოკისპირული წვიმა წამით არ შენელებულა, ისევე, როგორც არ შენელებულა ტემპი „დელე ალპიზე“, სადაც ერთმანეთს მე-8 ტურის ბოლო შეხვედრაში ფაბიო კაპელოს ახალი და ძველი გუნდები, „იუვენტუსი“ და „რომა“ ეცილებოდნენ ერთმანეთს სამ ქულას. გაიმარჯვა ახალმა გუნდმა, „იუვენტუსმა“, 2:0. გოლები ალესანდრო დელ პიერომ და მარსელო ზალაიეტამ გაიტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კაპელოს ხელში პირველს სიჭაბუკე უბრუნდება (მეორე თამაშში მესამე გოლი შეაგდო), ხოლო მეორე პირველხარისხოვანი ვარსკვლავების დარად იწყებს გოლების გატანას. საინტერესოა, რომ ამ გუნდების წინა შეხვედრის დროს — ეს ამბავი კი გასულ ჩემპიონატში მოხდა — 4:0 გაიმარჯვა „რომამ“ ანუ იმან, რომელსაც იმ დროს კაპელო მოძღვრავდა.

„ძნელი შეხვედრა იყო. მოედანზე „იუვეს“ წინააღმდეგ ჩინებული „რომა“ თამაშობდა — განაცხადა კაპელომ მატჩის შემდეგ — მაგრამ ჩვენ მეტოქეზე ფხიზლად ვიყავით და პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტის შექმნის საშუალება მივეცით. საბოლოოდ, ძალიან კმაყოფილი დავრჩი, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სველ მოედანზე ერთი ეპიზოდიც არ გაგვისხლტა ხელიდან“.

შემდეგ კაპელომ შეხვედრის პირველ მონაკვეთზე გაამახვილა ყურადღება, როდესაც ერთი შეხვედრით, „რომა“ მასპინძლობზე ცოცხლად თამაშობდა.

„პირველ თხუთმეტ წუთში „რომამ“ მართლაც შეგვიქმნა სირთულეები, ვინაიდან ჩვენ სიტუაციაში გასარკვევად დრო დაგვჭირდა. მაგრამ შემდეგ საქმეში ჩავერიე, ნედვედი უფრო ფართო სამოქმედო არეალზე გადავიყვანე, რის შედეგაც ის გამოვიდა, რომ ლუიჯი სარტორის წინააღმდეგ იგიც უტევდა და ძამბროტაც“.

„იუვეს“ მწვრთნელმა შეაქო მეგოლეებიც: „ალექსმა ჩინებული ფეხბურთი გვაჩვენა, ის დღითიდღე უკეთ და უკეთ თამაშობს, თანაც გოლების რეგულარულად გატანის იმტაზეც მოვიდა, ზალაიეტა კი როგორც ფეხბურთელი იზრდება და მის თვისებათაგან გოლის წყურვილი მომწონს ყველაზე მეტად. თუმცა, თუ ამ მატჩის გამორჩეულ ფეხბურთელებზე მიდგა საქმე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჯანლუიჯი ბუფონიც. რომელმაც რამდენჯერმე ჩინებულად მოიგერია ბურთი. ყოველთვის ამას ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ბუფონი მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა“.

„იუვენტუსისთვის“ ერთადერთი უარყოფითი, რაც ამ შეხვედრაში მოხდა, მატჩის მიწურულს ემერსონის გაძევება იყო, მაგრამ ამაზე კაპელომ განაცხადა:

„პიერლუიჯი კოლინას ნებისმიერ გადაწყვეტილებას ულაპარაკოდ ვიღებთ“.

ხოლო დელ პიერომ თავისი თამაში ასე შეაფასა:

„ასი პროცენტით მზად ჯერ არ ვარ, მაგრამ ჩემი საქმეები, რომ უკეთესად მიდის, ფაქტია. გოლების გატანა, ცხადია, დიდი სიამოვნებაა, მაგრამ როდესაც ამ გოლს ზედ გუნდის გამარჯვებაც ერთვის, სიამოვნება ერთიორად ძლიერდება. საერთოდ კი ცხრილში არ ვიყურებით, რადგან ჩვენს ამოცანად ყოველ შეხვედრაში წინაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება მიგვაჩნია“.

**პაპუნა ძიძია**

# იტალია

პაპუნა ძიძია

# ნოველინოს გენუური ნოველა

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სამპდორია | : | მილანი |
| ინტერი | : | ლაციო |
| **ხვალ** | | |
| ფიორენტინა | : | ლეჩე |
| იუვენტუსი | : | კიევო |
| ლივორნო | : | ბრეშა |
| მესინა | : | რეჯინა |
| პარმა | : | ატალანტა |
| რომა | : | კალიარი |
| სიენა | : | ბოლონია |
| უდინეზე | : | პალერმო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 8 | 7 | 1 | 0 | 17:2 | 22 |
| მილანი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| ლეჩე | 8 | 4 | 3 | 1 | 20:11 | 15 |
| კალიარი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:10 | 13 |
| კიევო | 8 | 3 | 4 | 1 | 7:6 | 13 |
| ინტერი | 8 | 2 | 6 | 0 | 16:13 | 12 |
| სამპდორია | 8 | 4 | 0 | 4 | 8:7 | 12 |
| ლაციო | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| მესინა | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | 11 |
| პალერმო | 8 | 2 | 4 | 2 | 6:7 | 10 |
| ფიორენტინა | 8 | 2 | 4 | 2 | 6:7 | 10 |
| უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 9:8 | 9 |
| რომა | 8 | 2 | 3 | 3 | 13:15 | 9 |
| ბოლონია | 8 | 3 | 0 | 5 | 7:9 | 9 |
| ბრეშა | 8 | 3 | 0 | 5 | 8:14 | 9 |
| ლივორნო | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| სიენა | 8 | 2 | 2 | 4 | 4:11 | 8 |
| რეჯინა | 8 | 1 | 4 | 3 | 5:8 | 7 |
| პარმა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | 6 |
| ატალანტა | 8 | 0 | 4 | 4 | 9:16 | 4 |

გენუის „სტადიო მარასიზე“ სტუმრობა მთლად იოლი საქმე არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, კახა კალაძის „მილანს“ იმის გარანტიას, რომ ამ შეხვედრის ხარჯზე წინ გაჭრილ „იუვენტუსს“ ან სხვაობას შეუმცირებს ან არ ჩამორჩება მაინც, ვერავინ მისცემს. დიახ, შავ-წითლები“ უკეთ და უკეთ თამაშობენ, მაგრამ ყოფილი „შავ-წითლის“ ვალტერ ნოველინოს გაწვრთნილი „სამპდორია“ ის გუნდია, რომელსაც ანგარიში აუცილებლად უნდა გაუწიოს.

დახეთ გენუელების შედეგებს ამ სეზონში: პირველი სამი მარცხის შემდეგ სამი გამარჯვება, რასაც შინ „ბრეშასთან“ მარცხი და სტუმრად „კიევოსთან“ გამარჯვება მოჰყვა. ერთი სიტყვით, რას იზამს ნოველინოს გუნდი სრულიად ამოუცნობია.

და რას იზამს მილანელთა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი? სავარაუდოდ, წინა მატჩთან შედარებით შემადგენლობას შეცვლის, მაგალითად, ერთმატჩიანი დასვენების შემდეგ მოედანზე ალესანდრო ნესტას დააბრუნებს, მაგრამ კალაძეს, ბროკის და რუი კოშტას, ალბათ ხელს არ ახლებს, რადგან ამ სამეულმა ოთხშაბათს ჩინებულად ითამაშა.

„სამპდორია“ — „მილანი“ დღეს, საქართველოს დროით 20 საათზე დაიწყება.

დღესვე, ოღონდ ჩვენი დროით თერთმეტის ნახევარზე, „სან სიროზე“ „ინტერი“ „ლაციოს“ უმასპინძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი თავის ყოფილ გუნდს უპირისპირდება. ვფიქრობთ, დაწვრილებით მოყოლა აღარ სჭირდება იმას, რომ „ინტერს“ ამ სეზონში უცნაური შედეგები აქვს — რვა თამაშიდან ორი მოიგო, ხოლო ექვსი ფრედ დაასრულა, არადა, აშკარად ძლიერია და სად უსხლტება გამარჯვება ხელიდან, გამოსაკვლევი აქვს. აი, ოთხშაბათსაც, ლეჩეში, „შავ-ლურჯებმა“ ჯერ ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ შემდეგ ორი გაუშვეს.




ზდენეკ ზემანი და ვალერი ბოჟინოვი იტალიას აოცებენ

რომაელებს კი დაშავებული ჰყავთ სეზარი, სიმონე ინძაგი, ლივერანი, პერუცი, ძაური, სივილია და მუცი... კიდევ კარგი, ოთხშაბათს „მესინას“ დამარცხება მოახერხეს, თორემ მილანში სტუმრობას საერთოდ დათრგუნულები შეხვდებოდნენ.

„იუვენტუსი“ კი ხვალ იქნებ „კიევომ“ მაინც შეაჩეროს. რვა თამაშიდან შვიდის მოგება და ერთი ფრე მართლაც ძალიან შთამბეჭდავია, ვერონელებთან ტურინელები ხუთშაბათს დაშავებულ ჯონათან ძებინას და „რომასთან“ შეხვედრაშივე გაძევებულ ემერსონს ვერ დაიხმარენ, მაგრამ მათ ნაცვლად, სავარაუდოდ, ალესანდრო ბირინდელი და მანუელე ბლაზი ითამაშებენ. „ბებერი ქალბატონის“ თავდასხმაში შესაძლოა მარსელო ზალაიეტა ან ზლატან იბრაჰიმოვიჩი ვერ ვნახოთ. არ არის გამორიცხული, ფაბიო კაპელომ „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის თამაში წინ რომელიმე დაასვენოს.

ხოლო ზდენეკ ზემანის „ლეჩე“, რომელმაც ყველა გააოცა, ფლორენციაში „ფიორენტინასთან“ ჩავა. მთავარია, რომ ლეჩელების შემადგენლობაში 18 წლის ბულგარელი ვალერი ბოჟინოვი ითამაშებს.

ტოსკანიელებს ემილიანო მონდონიკოს თანამდებობიდან გაშვების შემდეგ დროებითი შეფი, სერჯო ბუზი უდგას სათავეში. მათ არ ეყოლებათ ოთხი წამყვანი მოთამაშე, ხოლო ლეჩეს, ერთი.

„რომა“ „კალიარის“ მასპინძლობს. რომაელები ხუთშაბათს, ტურინში 0:2 დამარცხების შემდეგ ლიდერს მთელი 13 ქულით ჩამორჩებიან და ჩემპიონობაზე ფიქრი რაღა დროისაა, გასავარდნთა ზონას მხოლოდ ორი ადგილით აღემატებიან. არ არის გამორიცხული, ამ შეხვედრაში მოედანს დაუბრუნდეს მწვრთნელთან, ლუიჯი დელ ნერისთან ნაჩხუბარი კრისტიან პანუჩი.

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# დორტმუნდში ერთმანეთს ნუღლები ხვდებიან

| XI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ფრაიბურგი | : | ჰერტა |
| დორტმუნდი | : | ლევერკუზენი |
| ჰანოვერი | : | ბოხუმი |
| გლადბახი | : | ბაიერნი |
| ვოლფსბურგი | : | მაინცი |
| შალკე | : | შტუტგარტი |
| ვერდერი | : | ჰამბურგი |
| **ხვალ** | | |
| ლაუტერნი | : | არმინია |
| ჰანზა | : | ნიურნბერგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 16:11 | 21 |
| შტუტგარტი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | 20 |
| ბაიერნი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:10 | 20 |
| ვერდერი | 10 | 6 | 0 | 4 | 22:12 | 18 |
| მაინცი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:13 | 18 |
| შალკე | 10 | 6 | 0 | 4 | 13:13 | 18 |
| ჰანოვერი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 17 |
| ლევერკუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:16 | 15 |
| არმინია | 10 | 4 | 2 | 4 | 10:10 | 14 |
| ჰამბურგი | 10 | 4 | 0 | 6 | 14:17 | 12 |
| ჰერტა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:9 | 11 |
| დორტმუნდი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:16 | 11 |
| ნიურნბერგი | 10 | 2 | 4 | 4 | 16:18 | 10 |
| ბოხუმი | 10 | 2 | 4 | 4 | 15:19 | 10 |
| ფრაიბურგი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:16 | 10 |
| გლადბახი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:17 | 9 |
| ჰანზა | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ლაუტერნი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:20 | 7 |

მიუნხენის „ბაიერნი“ მიონხენგლადბახში ტრავმამოშუშებული მიხაელ ბალაკით ჩავა. ბალაკი ტურინში „იუვენტუსთან“ მატჩში დაშავდა და ბუნდესლიგის ორი ტური გამოტოვა. ძირითად შემადგენლობაში იქნება კლაუდიო პიზაროც, რომელმაც გასულ საშაბათს „ვოლფსბურგს“ წყვილი გოლი გაუტანა. „ბაიერნს“ მიონხენგლადბახში ბოლო სამი სეზონის განმავლობაში არ მოუგია. მასპინძლები კი „ბოხუმთან“ მარცხის შემდეგ უთავკაცოდ დარჩნენ, რადგან ჰოლგერ ფახი გაათავისუფლეს. დღეს გუნდს მოყვარულ გლადბახელთა მწვრთნელი ჰორსტ კოეპელი გაიყვანს სათამაშოდ. სტუმრებს ტრავმირებულები ჰყავთ კუფური და სანტა კრუზი, დეპრესიაგადატანილ დაისლერზე ალარაფერს ვიტყვით, ხოლო „ბორუსიას“ სასჯელმოხდილი ფორვარდი ოლივერ ნოივილი დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ნოივილს „კაიზერსლაუტერნთან“ ხელით გატანილი გოლის გამო ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერს.

გასულ ოთხშაბათს ჰამბურგში განადგურებული „ფრაიბურგი“ ბერლინის „ჰერტას“ დაუხვდება, რომელმაც მიჯრით ორი მატჩი წააგო. ფოლკერ ფინკეს გუნდის ძირითად შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდება ალექსანდრე იაშვილი. ქართველმა მეგოლემ „ჰამბურგთან“ შეხვედრა გამოტოვა, დღეს კი თავის გუნდს დაეხმარება. „ჰერტას“ ფორვარდი ფრედი ბობიჩის თამაში საეჭვოა, ხოლო ნახევარმცველ ნიკო კოვაჩს დისკვალიფიკაციის ვადა დაუმთავრდა და „ფრაიბურგთან“ ითამაშებს.

დორტმუნდში ჯერჯერობით შინმოუგებელი „ბორუსია“ „ლევერკუზენს“ მასპინძლობს, რომელსაც თავის მხრივ სტუმრად გამარჯვება არ დაუფაშნიკებია. „შავ-ყვითლებს“ მეცელდერი, ადო და ევანილსონი დააკლდებიან, სტუმრებს კი ბიროფკა ვერ დაეხმარება.

„ჰანოვერმა“ აკრიფა და ასე თუ გააგრძელა, ეგებ ბუნდესჩემპიონობასაც გამოჰკრას ხელი. ევალდ ლინენის გუნდმა ზედიზედ ოთხ ტურში 12 ქულა მიითვალა და ცხრილის ფსკერიდან მეშვიდე ადგილს უწია. ჰანოვერელები „ბოხუმს“ მიიღებენ, რომელსაც კალა, კნავსი და მადსენი არ ეყოლება. დამხვდურებს იდრისუ ბარნეტა და ლეანდრო ჰყავს დაშავებული.

გელზენკირხენის „შალკეს“ ძირითადი შემადგენლობის ყველა მოთამაშე ჯანზეა. „ხუმართა“ მწვრთნელ რალფ რანგნიკს სურს, რომ მისმა გუნდმა ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგოს. რანგნიკის მისვლის დღიდან „შალკე“ მეტოქეს მეტოქეზე მუსრავს და ამჟამად გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე მათიას ზამერის „შტუტგარტი“. შტუტგარტელების ლაზარეთში არიან შტრანცლი, ჟივკოვიჩი და ფერნანდო მეირა.

„ჰამბურგს“ ბრემენში შარშანდელი სტუმრობა არ დაავიწყდება, მაშინ „ვერდერთან“ 0:6 წააგო. ამჯერად თომას დოლის „ჰამბურგი“ ასე იოლად დასაჩაგრი გუნდი არ ჩანს და არც „ვერდერია“ შარშანდელივით ძლიერი. „მუსიკოსთა“ ტრავმირებული ფეხბურთელების ჩამოთვლა რამდენიმე სტრიქონს წაიღებს. მხოლოდ სამ მოთამაშეს გამოვარჩევთ — ლისტეში, ხარისტიასი და გუსტავო ნერი „ვერდერს“ ვერ დაეხმარებიან, თუმც მიკუ, კლოზე და კლასნიჩი უამათოდაც ფონს გადიან.

ლიდერი „ვოლფსბურგი“ კერკეტ „მაინცს“ უმასპინძლებს. მაინცელებს „ჰანზასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ ნიკლას და დენის ვაილანდები, ასევე მეგოლე ბენჟამინ აური დააკლდებათ.

„კაიზერსლაუტერნმა“ „არმინიას“ თუ ვერ მოუგო, დამხვდურთა ავსტრიელი მწვრთნელ კურტ იარას ალბათ სხვა სამსახურის მოძებნა მოუწევს. და ბოლოს, „ჰანზამ“ ეგებ ნავსი გატეხოს და ხუთი საშინაო მარცხის შემდეგ როსტოკში პირველი გამარჯვება „ნიურნბერგთან“ მოიპოვოს. ჰანზელთათვის ახალი და კარგი ამბავი ისაა, რომ მათ ტრავმამოშუშებული შვედი მეგოლე მარკუს ოლბოკი დაუბრუნდათ.



მიხაელ ბალაკი დღეს ითამაშებს, სებასტიან დაისლერი კი ისევ სკამზე იჯდება

## ესპანეთი

ლადო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბილბაო | : | ბარსელონა |
| ვალენსია | : | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| ბეტისი | : | მალაგა |
| დეპორტივო | : | ალბასეტე |
| ესპანიოლი | : | ვილიარეალი |
| რეალი | : | ხეტაფე |
| სარაგოსა | : | სევილია |
| მალიორკა | : | რასინგი |
| ოსასუნა | : | ლევანტე |
| ნუმანსია | : | სოსიედადი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 17:3 | 22 |
| სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 17 |
| ვალენსია | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 14 |
| ესპანიოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:5 | 13 |
| ატლეტიკო | 8 | 4 | 1 | 3 | 8:5 | 13 |
| ლევანტე | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| რეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 6:5 | 13 |
| ოსასუნა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:13 | 13 |
| სარაგოსა | 8 | 4 | 1 | 3 | 14:15 | 13 |
| დეპორტივო | 8 | 3 | 3 | 2 | 10:13 | 12 |
| მალაგა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 11 |
| ვილიარეალი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:5 | 10 |
| ბეტისი | 8 | 2 | 4 | 2 | 11:12 | 10 |
| ბილბაო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| სოსიედადი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:10 | 8 |
| ალბასეტე | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| რასინგი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:9 | 8 |
| ხეტაფე | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | 6 |
| მალიორკა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:12 | 5 |
| ნუმანსია | 8 | 1 | 2 | 5 | 4:14 | 5 |



ფრანკ რაიკარდი

# დამშეული სირცხვილნაჭამები

ესპანური პრიმერადივიზიონის მე-9 ტური სამეფო თასის მატჩებით დაღდასმული ჩაივლის — „ბარსელონა“, „ვალენსია“, „ესპანიოლი“, „ვილიარეალი“, „სარაგოსა“ — აი, ხუთეული, რომელმაც პირველივე ეტაპი სეგუნდა თუ ტერსერადივიზიონის უცნობ გუნდებთან ჩააფლავა და, შესაბამისად, თითოეული იძულებულია, ინჩასებს თავისი სიძლიერე ჩემპიონატში დაუმტკიცოს.

ტურის მთავარი მატჩი დღეს ბასკურ „სან მამესზე“ გაიმართება. „კოპა დელ რეიზე“ შერცხვენილი ფრანკ რაიკარდის „ბარსა“ ერნესტო ვალვერდეს „ბილბაოს“ სტუმრობს. „გრამანეტისთან“ წაბორძიკების მერე ესპანურ პრესაში მრავლად დაიბეჭდა ბარსელონელ ფეხბურთელთათა მოსაზრებანი. ისინი თვლიან, რომ დაბალლიგელებთან წაგება სამწუხარო შემთხვევითობაა და სხვა არაფერი. „თასზე დამარცხება „ბარსას“ სისუსტეს არ ნიშნავს. ეგ უფრო უიღბლობის შედეგი იყო, ვიდრე ჩვენი უნიათობისა. „სან მამესზე“ დავამტკიცებთ, რომ გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში პირველ ადგილზე შემთხვევით არ იმყოფება“ — თქვა რაიკარდმა. ბასკეთს ჰოლანდიელი მწვრთნელი რონალდინიოს, დეკოს და ვიქტორ ვალდესს იახლებს, რომელთაც „გრამანეტისთან“ მატჩი გამოტოვეს და ძალიან სურთ, „ბარსას“ სათასო სირცხვილი საპრიმერო გამარჯვებით ჩამორეცხონ. „დარწმუნებული ვარ, ამ არასასიამოვნო მატჩს მალე დავივიწყებთ. ჩვენისთანა დიდი გუნდისთვის ამგვარი კრიზისის დაძლევა სიძნელეს არ წარმოადგენს“ — აცხადებს ბრაზილიელი რონალდინიო. დეკოს თქმით კი, კატალონიელთა ლიდერობას საფრთხე არ ემუქრება: „ბარსა“ მხოლოდ 3 ქულის მოსაპოვებლად იბრძოლებს. ჩემპიონატში პირველი ადგილის დაკარგვაზე არავინ ფიქრობს“.

ბასკები სამ ქულაზე მონადირე კატალონიელებს ასიერ დელ ორნოს გარეშე უმასპინძლებენ — „ბილბაოს“ მცველმა ტრავმა ვერ მოირჩინა და „სან მამესზე“ მისი გამოჩენის ალბათობა ძლიერ მცირეა. გარდა დელ ორნოსი, დამხვდურები ასევე ტრავმირებულ ხავი გონსალესს, რობერტო „ტიკო“ მარტინესს, მარი დაკრუსსა და ოსკარ ვალესს მოისაკლისებენ. „ბილბაო“ ამჟამად პრიმერაში მეთოთხმეტეა, 8 მატჩიდან მხოლოდ 2 მოუგია და გასავარდნ ზონას ორი ქულა აშორებს. „ბარსელონა“ სადღეისოდ ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტია, მაგრამ ჩვენ შინ ვითამაშებთ და კატალონიელებს მოგების ნაკლები შანსი ექნებათ. „ბილბაო“ საშინაო შეხვედრებს ყოველთვის ძლიერად ატარებს, საეჭვოა, შაბათს რაიმე სამწუხარო გამონაკლისი ვიხილოთ“ — თქვა ბასკთა კაპიტანმა, ხოსება ეჩებერიამ.

დღესვე კლაუდიო რანიერის „ვალენსია“, მადრიდის „ატლეტიკოს“ დაუხვდება. ვალენსიელებმა ზედიზედ ხუთი შეხვედრა დათმეს და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღეს, სავარაუდოდ, დაშავებული ალბელდა, ნავარო, ვისენტე და აიალა ვერ ითამაშებენ, რანიერის შეგირდებს იოლი გასეირნება არც „ატლეტიკოსთან“ ელით.

ხვალ კი გარსია რემონის „რეალი“ „ხეტაფეს“ ვალტერ სამუელის გარეშე შეერკინება. თასიდან გაძევებული „ესპანიოლი“ და „ვილიარეალი“ ძალებს ურთიერთშორის მოსინჯავენ. ვიქტორ მუნიოსის „სარაგოსას“ „სევილიასთან“ გამოჯანმრთელებული ალვარო და მილიტო დაუბრუნდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# რუუდი პორტში ვერ შეცურავს

| XI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | კრ. პალასი |
| არსენალი | : | საუთჰემპტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ჩელსი |
| ჩარლტონი | : | მიდლსბრო |
| ევერტონი | : | ასტონ ვილა |
| ფულემი | : | ტოტენჰემი |
| პორტსმუთი | : | მანჩესტერი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | : | ნიუკასლი |
| **ზეგ** | | |
| სიტი | : | ნორვიჩი |

| საძეიბო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 10 | 8 | 1 | 1 | 29:10 | 25 |
| ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 12:2 | 23 |
| ევერტონი | 10 | 7 | 1 | 2 | 13:9 | 22 |
| ბოლტონი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:12 | 18 |
| მანჩესტერი | 10 | 4 | 5 | 1 | 11:7 | 17 |
| ლივერპული | 9 | 5 | 1 | 3 | 16:8 | 16 |
| ნიუკასლი | 10 | 4 | 4 | 2 | 21:17 | 16 |
| მიდლსბრო | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| ასტონ ვილა | 10 | 3 | 5 | 2 | 13:12 | 14 |
| ტოტენჰემი | 10 | 3 | 4 | 3 | 6:6 | 13 |
| პორტსმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| ჩარლტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:17 | 12 |
| სიტი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:11 | 11 |
| ბირმინგემი | 10 | 1 | 6 | 3 | 7:9 | 9 |
| კრ. პალასი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:15 | 8 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:16 | 8 |
| ფულემი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| საუთჰემპტონი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:12 | 6 |
| ნორვიჩი | 10 | 0 | 6 | 4 | 9:17 | 6 |
| ბლექბერნი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:22 | 6 |

ლონდონის „არსენალი" დაუძლურებულ „საუთჰემპტონს" მასპინძლობს. „წმინდანთა" ყოფილი მწვრთნელის, პოლ სტაროკის წასვლის შემდეგ გუნდი სტივ უიგლიმ ჩაიბარა და მის ხელქვეით „საუთჰემპტონმა" მხოლოდ ერთი მატჩის მოგება შეძლო. შუა კვირაში უიგლის შეგირდებმა ლიგის თასის შეხვედრაში „კოლჩესტერს" 3:2 სძლიეს. ყმაწვილმა ფორვარდმა, დექსტერ ბლეკსტოკმა ჰეთ თრიქი შეასრულა. დღეს იგი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ბირმინგემს", რომელმაც ბოლო ხუთ მატჩში ზედიზედ ფრედ ითამაშა, უკვე შვიდი ტურია, გამარჯვების გემო დაავიწყდა. ბირმინგემელებს თავდასხმაში უჭირთ — „მანჩესტერთან", „საუთჰემპტონთან", გასულ ოთხშაბათს კი „ფულემთან" სათასო შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანეს. მასპინძლები „კრისტალ პალასს" აქამდე რვაჯერ შეხვედრიან და ერთხელაც არ დამარცხებულან.

მარკ ჰიუზის „ბლექბერნი" ცხრილის ფსკერზე დაილექა მას შემდეგ, რაც ზედიზედ ორი თამაში ერთნაირი ანგარიშით (0:4) წააგო. ჰიუზის გუნდი მოყოჩაღებულ „ლივერპულს" დაუხვდება. რაფაელ ბენიტესის გუნდმა მიჯრით ორ მატჩში იმარჯვა და ახლა იშტაზეა მოსული. შარშან „ლივერპულმა" ბლექბერნში 4:0 იძალა. ისე კი, მერსისაიდელებს დღევანდელ მეტოქესთან უკვე ხუთი სეზონია, შინ თუ გარეთ არ წაუგიათ.

„ჩარლტონს" ზედიზედ სამი მსხვილკალიბრიანი მოწინააღმდეგე შეხვდა. „არსენალთან", „ნიუკასლთან" და „ლივერპულთან" მატჩებში ჩარლტონელებმა ოდენ ქულა აიღეს, ამჯერად კი „მიდლსბროსთან" მოგებას გეგმავენ.





მანჩესტერს როი კინი უბრუნდება, რუუდ ვან ნისტელროოი კი პირველ მატჩს გამოტოვებს

ბირმინგემის „ასტონ ვილა" გასულ სამშაბათს ლიგის თასიდან „ბარნლიმ" დაიფრინა, დღეს კი ლივერპულში „ევერტონს" ეწვევა. ევერტონელებს დისკვალიფიცირებული ლი კარსლი დააკლდებათ.

ლონდონურ დერბიში „ფულემი" და „ტოტენჰემი" დაეჯახებიან. ფულემელებს ტრავმირებული იან პრისი, ხოლო „მამლებს" დასჯილი ჯეიმი რედნაპი არ ეყოლება.

„მანჩესტერ იუნაიტედი" საპორტო „პორტსმუთში" ჩავა, მაგრამ რუუდ ვან ნისტელროოი ვერ დაეხმარება, რადგან „არსენალთან" ეშლი კოულის ჩაწიხვლისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში უეჭველად უკვე რუნი იქნება და როი კინიც დაბრუნდება.

„ვესტ ბრომვიჩი" ჯერჯერობით შინ არ დამარცხებულა და ამ წარმატებული სერიის გაგრძელებას „ჩელსისთან" ეცდება. ბრომვიჩელების მწვრთნელი გარი მეგსონი ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს და დღეს გუნდს მისი თანაშემწე ფრენკ ბაროუზი ათამაშებს.

ხვალ „ბოლტონი" „კაჭკაჭებს" დაუხვდება. სტუმართა წაუგებელი სვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც „ნიუკასლი" გრემ სუნესმა ჩაიბარა, რაც შეეხება „მანჩესტერ სიტი" — „ნორვიჩის" თამაშს, ეს მატჩი ზეგ გაიმართება. „ნორვიჩი" ერთადერთი პრემიერლიგელია, მოგება რომ არ დაუჭაშნიკებია და ეგებ ეს მანჩესტერში მოახერხოს.

# მოკვეთილი

## მუტუ ჩელსიდან დაითხოვეს

*„ჩელსიმ" დაითხოვა შერცხვენილი ფორვარდი ადრიან მუტუ. მიზეზი ცნობილია, ტესტზე ჩავარდნა და სისხლში კოკაინის აღმოჩენა*





**კლუბი** ზარალს არ დაერიდა და თავის მიმართვაში ჩაწერა: „გვინდა ყველამ იცოდეს, რომ ნარკოტიკებს სასტიკად ვებრძვით. ისეთ წამლებსაც, რომლებსაც აღმდგენი ფუნქცია აქვთ. ჩვენი პასუხისმგებლობა ფანების, მოთამაშეების, მეწილეების და მუშაკების წინაშე სისუფთავეს გულისხმობს. ყოველი შემჩნეული ფეხბურთელი უსწრაფესად მოიკვეთება".

შარშან ჩელსიმ 15,8 მილიონი გირვანქა გადაუხადა „პარმას" მუტუში. რუმინელს საუცხოო დებიუტი ჰქონდა, 5 მატჩში 6 გოლი გაიტანა. წლეულს კი ის თითქმის აღარ ჩანდა მოედანზე, რისი მიზეზიც თურმე მხოლოდ მენეჯერმა ჟოზე მაურინიუმ იცოდა, ოღონდაც, არ ამხელდა.

მუტუს 2-წლიანი დისკვალიფიკაცია ელის, თუმცა, იმედოვნებს, რომ ნახევარწლიანს აკმარებენ.

მუტუმ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში აღიარა, რომ კოკაინს წლეულს დაეჩვია და რამდენიმე მატჩი სწორედ კოკაინქვეშ ითამაშა — მათ შორის თავისი უკანასკნელი, „ასტონ ვილას" წინააღმდეგ 11 სექტემბერს.

მან ასევე თქვა, რომ კოკაინს ცოლთან განშორების და შვილისთვის დავის შემდეგ დაეჩვია. რასაც ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნაც დაერთო.

„ჩელსი", რომელიც წელიწადში 3 მილიონ გირვანქას უხდიდა მუტუს, არჩევანის წინაშე იდგა — ემკურნალა მისთვის და მერე გაეყიდა, თუ პირდაპირ დაეთხოვა. მუტუს ფასი ახლა 11 მილიონი გირვანქა იყო, მაგრამ „ჩელსიმ" მისი სამაგალითოდ მოკვეთა გადაწყვიტა. ამიტომ, კლუბი ვერაფერს მიიღებს მასში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუმინელის დათხოვნას თვით რომან აბრამოვიჩი უჭერს მხარს, მივხვდებით, რომ კლუბს ზარალი არ აღელვებს.

ეს პირველი შემთხვევაა, კლუბი კოკაინისთვის რომ აგდებს ფეხბურთელს. თავად მუტუ ახლა იტალიაშია და სამკურნალოდ წასვლას აპირებს, კოკაინს უნდა გადავეჩვიოო...

ხეირი ამ სკანდალიდან ერთადერთი აქვს, თავისუფალი აგენტი ხდება. თუმცა, ალბათ 2 წლის შემდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**

## გერმანია

II ბუნდესლიგა
X ტური

კოტბუსი 1:0 აუე

1:0 რეგეკამპფი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 10 | 7 | 2 | 1 | 13:5 | 23 |
| დუისბურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 17:12 | 21 |
| კიოლნი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:14 | 20 |
| ალემანია | 10 | 5 | 3 | 2 | 23:9 | 18 |
| ბურგჰაუზენი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:13 | 17 |
| ზაარბრიუკენი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:11 | 14 |
| ალენი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| უნტერჰახინგი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:16 | 13 |
| ტრირი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 13 |
| მიუნხენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| კოტბუსი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:10 | 13 |
| აუე | 10 | 3 | 2 | 5 | 15:14 | 11 |
| აინტრახტი | 10 | 3 | 2 | 5 | 19:21 | 11 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | 10 |
| დინამო | 10 | 3 | 1 | 6 | 13:19 | 10 |
| ერფურტი | 10 | 2 | 4 | 4 | 5:13 | 10 |
| ობერჰაუზენი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ესენი | 10 | 1 | 4 | 5 | 15:23 | 7 |

## ჩეხეთი

თასის
პირველი ეტაპი

ბუდეიოვიცე 1:2 იაბლონეცი
კლადნო 0:1 ლიბერეცი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



# ფრთხილად, არ გავარდეს!

## ფერგიუსონმა ვენგერისა და ვიქტორიასთვის ორი ტყვია ითხოვა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ელექს ფერგიუსონმა ჟურნალისტებთან საუბარში განცახადა, არსენ ვენგერისა და ვიქტორია ადამსისთვის ტყვიას არ დავიშურებდიო. „ერთი ტყვია რომ გქონდეთ, ვენგერს ესროდით თუ ვიქტორიას?“ — ჰკითხეს ჩეშირში საქველმოქმედო საღამოზე მყოფ ფერგიუსონს. შოტლანდიელმა ხუმრობითვე მიუგო: „ბიჭებო, ორი ტყვია რომ მომცეთ, არ შეიძლება?“

ალექს ფერგიუსონს დევიდ ბექემის ცოლთან და „არსენალის“ ფრანგ თავკაცთან გართულებული ურთიერთობა აქვს. „მანჩესტერისა“ და „მეთოფეთა“ ბოლო შეხვედრის შემდეგ მწვრთნელებს კამათის კიდევ ერთი მიზეზი გაუჩნდათ. რაც შეეხება ვიქტორიას, „მანჩესტერში“ დევიდ ბექემის თამაშისას, ცხვირწითელა შოტლანდიელმა ფეხბურთელს გუნდის ღალატი დასწამა ცოლის სასარგებლოდ.



# 2009 გატუზოს მალდინის მემკვიდრეობას ჩააბარებენ

ჯენარო გატუზომ „მილანთან“ 2009 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ ამოუსუნთქავი თუ გაუჩერებელი სირბილით ცნობილმა ნახევარმცველმა „მილანს“ 1999 წელს მიაშურა „სალერნიტანადან“ და „სან სიროზე“ ფანების საყვარელ მოთამაშედ იქცა. როგორც ამბობენ, მას მერე, რაც პაოლო მალდინი ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს, „შავ-წითელთა“ კაპიტნის სამკლავურს სწორედ გატუზოს შეაბამენ.

ამის გარდა, მილანელთა ბანაკიდან მოვიდა ცნობა, რომ რიო დე ჟანეიროდან სალვადორის ნაკრების წინაალმდეგ სათამაშოდ გამოიძახეს ბრაზილიელები კაკა, დიდა და კაფუ.

„მილანის“ ამ ტრიოს გზაში „ინტერის“ ფორვარდი ადრიანოც შეუერთდება.

პაპუნა ძედია



# რომა მარცხნივ ყანყალებს

## ბალდინის გაჭირვებამ ტადეი გაახსენა



როდრიგო ტადეი

„რომამ“ განაცხადა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე შეეცდება ნახევარმცველი იყიდოს — კლუბის სპორტული დირექტორის, ფრანკო ბალდინის თქმით, „ჯალოროსის“ ყველაზე მეტად მარცხენა ფრთაზე უჭირს.

„ჩვენ ფლანგის მოთამაშეს ვეძებთ. ასეთს სეზონის დაწყებამდეც ვეძებდით, მაგრამ მაშინ რიგმა პრობლემებმა ხელი შეგვიშალეს. ახლა, როგორც კი იანვარი დადგება, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენთვის საჭირო თვისებების ფეხბურთელი ვიშოვნოთ“ — თქვა მალდინიმ.

მაინც ვისზეა ეჭვი? უპირველეს ყოვლისა, „სიენას“ მოთამაშე როდრიგო ტადეიზე, რომელიც აგვისტოში „რომას“, ფაქტობრივად, უკვე ჰყავდა ნაყიდი. ამწუთას „სიენას“ და ტადეის შორის კამათია. ფეხბურთელმა, რომლის კონტრაქტს მომავალ ზაფხულს გაუდის ვადა, კლუბთან კონტრაქტის განახლებაზე უარი განაცხადა და ამისთვის გუნდიდან მოკვეთილია. ერთი სიტყვით, „რომას“ შეუძლია სეზონის ბოლომდეც ითხოვოს ბრაზილიელი და შემდეგ იყიდოს კიდეც.

პაპუნა ძედია

# ინძაგის ანტვერპენი ელის

ფილიპო ინძაგის ტრავმა, როგორც ჩანს, მაინც არ არის მორჩენილი და თურმე გამორიცხული არც ის გახლავთ, რომ „მილანის“ თავდამსხმელმა კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთოს.

გეხსომებათ, ინძაგის პრობლემა საბოლოოდ მოგვარებული ეგონა, თუმცა, როგორც ირკვევა, მას კოჭი ჯერ კიდევ სტკივა და, შესაძლოა, აპრილში გაკეთებული ოპერაციის გამეორება დასჭირდეს.

„შავ-წითელთა“ ბანაკიდან გამოსული ხმების თანახმად, თავდამსხმელმა ბოლო დღეებში ბევრი ტესტი და შემოწმება გაიარა, ხოლო უახლოეს ხანს ანტვერპენში, თავისი ექიმის, პროფესორ მარტენსის კლინიკაში ჩავა, სადაც გასულ სეზონში პროცედურები ჩაუტარეს. ვერდიქტს პიპოს სწორედ პროფესორი მარტენსი გამოუტანს.

პაპუნა ძედია



# კოლინმა რუნის მუჰამედ ალი აჩუქა



უეინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინმა ხელთათმანი აჩუქა, რომლითაც მუჰამედ ალი 1971 წელს ჯო ფრეზერს უხათქუნებდა. ის 15-რაუნდიანი ბრძოლა ფრეზერის გამარჯვებით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ უეინ რუნი კრივით იყო გატაცებული და მისი მწვრთნელების აზრით, საკმაოდ კარგადაც გამოსდიოდა ეს საქმე. ამის გამო კოლინის საჩუქარი ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულად საამოა.

| 23:45 | 705 | ფიგეირენსე-სან პაულუ | 2.4 | 3.2 | 2.5 | 1.37 | 1.22 | 1.4 |
| 23:45 | 706 | გრემიო-პალმეირასი | 2.7 | 3.0 | 2.3 | 1.42 | 1.24 | 1.3 |
| 23:00 | 707 | გუარანი-გოიასი | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 23:45 | 708 | ჟუვენტუდი-ფლამენგო | 1.75 | 3.2 | 4.2 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 23:00 | 709 | პაისანდუ-კურიტიბა | 1.75 | 3.2 | 4.2 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 23:00 | 710 | სანტოსი-ფლუმინენსე | 1.45 | 3.7 | 6.2 | 1.04 | 1.17 | 2.31 |
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 712 | ვასკუ და გამა-პონტე პრეტა | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 962 | ლინჩიოპინგი-ფრიოლუნდა | 2.2 | 2.4 | 2.2 | 1.46 | 1.1 | 1.46 |
| 17:00 | 963 | ლულეო-ტიმრე | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 17:00 | 964 | მოდო-ფრიოსტადი | 1.9 | 4.4 | 2.7 | 1.32 | 1.11 | 1.67 |
| 17:00 | 965 | მორა-მალმიო | 1.7 | 4.4 | 3.1 | 1.22 | 1.09 | 1.81 |
| 17:00 | 966 | ჰვ 71-ბრიუნესი | 1.55 | 4.6 | 3.4 | 1.15 | 1.06 | 1.95 |
| 18:00 | 967 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 1.65 | 4.5 | 3.2 | 1.2 | 1.08 | 1.87 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. ფინეთი. 30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 981 | კერპეტი-იოკერიტი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.1 | 1.59 |
| 18:00 | 982 | ტურკუ-ტაპარა | 1.7 | 4.4 | 3.1 | 1.22 | 1.09 | 1.81 |
| 18:00 | 983 | ლუკო-ესპოო | 1.7 | 4.4 | 3.1 | 1.22 | 1.09 | 1.81 |
| 18:00 | 984 | ილვესი-პაამენლინა | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.54 | 1.09 | 1.42 |
| 19:30 | 985 | პელიკანსი-სეიპა | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 986 | იუვესკიულე-ესეტი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| | | **ჰოკეი რუსეთი. 30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 1064 | ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 2.6 | 4.8 | 1.9 | 1.68 | 1.09 | 1.36 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 932 | ვალიადოლიდი-ტაუ | 2.95 | 12.0 | 1.25 | 2.36 | 1.0 | 1.13 |
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 927 | ვალენსია-უნიკახა | 1.35 | 12.0 | 2.65 | 1.21 | 1.0 | 2.17 |
| 14:30 | 928 | რეალი-ბრეოგანი | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 14:30 | 929 | ბარსელონა-ლეიდა | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 21:00 | 930 | ბილბაო-სან ფერნანდო | 1.9 | 12.0 | 1.8 | 1.64 | 1.0 | 1.56 |
| 15:00 | 931 | ტენერიფე-ესტუდიანტესი | 2.4 | 12.0 | 1.45 | 2.0 | 1.0 | 1.29 |
| 21:00 | 933 | გრანადა-ხუვენტუდი | 1.45 | 12.0 | 2.4 | 1.29 | 1.0 | 2.0 |
| 14:30 | 934 | ალიკანტე-ხირონა | 1.25 | 12.0 | 2.95 | 1.13 | 1.0 | 2.36 |
| 21:00 | 935 | მანრესა-გრანადა | 1.25 | 12.0 | 2.95 | 1.13 | 1.0 | 2.36 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |
| 5002 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,3 | 3,6 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,57 |
| 5003 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5004 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5005 | ფულემი-ტოტენჰემი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 5,0 | 2,1 | 2,15 | 1,47 | 1,5 | 1,06 |
| 5007 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 6,0 | 2,4 | 1,75 | 1,71 | 1,35 | 1,01 |
| 5008 | ბლექბერნი-ლივერპული | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,39 | 1,53 | 1,09 |
| 5009 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5010 | სიტი-ნორვიჩი | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5059 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 5060 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2.45 | 3.0 | 2.8 | 1.34 | 1.3 | 1.44 |
| 5061 | ჰანოვერი-ბოხუმი | 1.9 | 3.3 | 3.75 | 1.2 | 1.26 | 1.75 |
| 5062 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 4.65 | 3.4 | 1.7 | 1.96 | 1.24 | 1.13 |
| 5063 | შალკე-შტუტგარდი | 2.2 | 3.1 | 3.15 | 1.28 | 1.29 | 1.56 |
| 5064 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.7 | 3.3 | 4.9 | 1.12 | 1.26 | 1.97 |
| 5065 | ვოლფსბურგი-მაინცი | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 5066 | ჰანსა-ნიურნბერგი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 5067 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 2.1 | 3.3 | 3.15 | 1.28 | 1.25 | 1.61 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5078 | ფიორენტინა-ლეჩე | 2.3 | 3.0 | 3.05 | 1.3 | 1.31 | 1.51 |
| 5079 | ინტერი-ლაციო | 1.5 | 3.6 | 6.7 | 1.05 | 1.22 | 2.34 |
| 5080 | იუვენტუსი-კიევო | 1.35 | 4.0 | 9.3 | 1.0 | 1.17 | 2.79 |
| 5081 | ლივორნო-ბრეშა | 2.25 | 3.0 | 3.15 | 1.28 | 1.31 | 1.53 |
| 5082 | მესინა-რეჯინა | 2.0 | 2.9 | 3.95 | 1.18 | 1.32 | 1.67 |
| 5083 | პარმა-ატალანტა | 1.7 | 3.2 | 5.1 | 1.11 | 1.27 | 1.96 |
| 5084 | რომა-კალიარი | 1.6 | 3.3 | 5.9 | 1.07 | 1.25 | 2.11 |
| 5085 | სამპდორია-მილანი | 4.6 | 3.2 | 1.8 | 1.88 | 1.29 | 1.15 |
| 5086 | სიენა-ბოლონია | 2.3 | 2.9 | 3.15 | 1.28 | 1.32 | 1.5 |
| 5087 | უდინეზე-პალერმო | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 5088 | ბილბაო-ბარსელონა | 3.8 | 2.1 | 2.4 | 1.35 | 1.47 | 1.12 |
| 5089 | ბეტისი-მალაგა | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5090 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5091 | დეპორტივო-ალბასეტე | 1.8 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.38 | 1.66 |
| 5092 | მალიორკა-რასინგი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5093 | ნუმანსია-სოსიედადი | 2.7 | 2.05 | 3.4 | 1.16 | 1.5 | 1.27 |
| 5094 | ოსასუნა-ლევანტე | 2.3 | 2.2 | 3.7 | 1.12 | 1.41 | 1.37 |
| 5095 | რეალი-ხეტაფე | 1.4 | 3.0 | 11.0 | 1.0 | 1.24 | 2.35 |
| 5096 | ვალენსია-ატლეტიკო | 2.1 | 2.1 | 4.8 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 5097 | სარაგოსა-სევილია | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 1,55 | 2,5 |
| 5402 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,15 | 4,4 |
| 5403 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1,85 | 1,95 |
| 5404 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 5405 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,85 | 1,95 |
| 5406 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 5407 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3,0 | 1,4 |
| 5408 | ბლექბერნი-ლივერპული | 2,2 | 1,7 |
| 5409 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 5410 | სიტი-ნორვიჩი | 1,5 | 2,6 |
| 5459 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.8 | 2.0 |
| 5460 | ფრაიბურგი-ჰერტა | 1.9 | 1.9 |
| 5461 | ჰანოვერი-ბოხუმი | 1.75 | 2.1 |
| 5462 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 2.4 | 1.6 |
| 5463 | შალკე-შტუტგარდი | 1.8 | 2.0 |
| 5464 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.6 | 2.4 |
| 5465 | ვოლფსბურგი-მაინცი | 1.6 | 2.4 |
| 5466 | ჰანსა-ნიურნბერგი | 1.75 | 2.1 |
| 5467 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 1.75 | 2.1 |
| 5478 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.8 | 2.0 |
| 5479 | ინტერი-ლაციო | 1.6 | 2.4 |
| 5480 | იუვენტუსი-კიევო | 1.3 | 3.0 |
| 5481 | ლივორნო-ბრეშა | 1.8 | 2.0 |
| 5482 | მესინა-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 5483 | პარმა-ატალანტა | 1.65 | 2.3 |
| 5484 | რომა-კალიარი | 1.55 | 2.5 |
| 5485 | სამპდორია-მილანი | 2.4 | 1.6 |
| 5486 | სიენა-ბოლონია | 1.8 | 2.0 |
| 5487 | უდინეზე-პალერმო | 1.7 | 2.2 |
| 5488 | ბილბაო-ბარსელონა | 2.0 | 1.7 |
| 5489 | ბეტისი-მალაგა | 1.7 | 2.0 |
| 5490 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.7 | 2.0 |
| 5491 | დეპორტივო-ალბასეტე | 1.8 | 1.9 |
| 5492 | მალიორკა-რასინგი | 1.7 | 2.0 |
| 5493 | ნუმანსია-სოსიედადი | 1.7 | 2.0 |
| 5494 | ოსასუნა-ლევანტე | 1.7 | 2.0 |
| 5495 | რეალი-ხეტაფე | 2.25 | 1.55 |
| 5496 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.85 | 1.85 |
| 5497 | სარაგოსა-სევილია | 1.7 | 2.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | არსენალი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ფულემი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ბლექბერნი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | სიტი-ნორვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5559 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5560 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5561 | ჰანოვერი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5562 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5563 | შალკე-შტუტგარდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5564 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5565 | ვოლფსბურგი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5666 | ჰანსა-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5567 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5578 | ფიორენტინა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5579 | ინტერი-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5580 | იუვენტუსი-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5581 | ლივორნო-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5582 | მესინა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5583 | პარმა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5584 | რომა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5585 | სამპდორია-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5586 | სიენა-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5587 | უდინეზე-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5588 | ბილბაო-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5589 | ბეტისი-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5590 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5591 | დეპორტივო-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5592 | მალიორკა-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5593 | ნუმანსია-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5594 | ოსასუნა-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5595 | რეალი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5596 | ვალენსია-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5597 | სარაგოსა-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 1,75 | 1,85 |
| 5202 | არსენალი-საუთჰემპტონი | 2,1 | 1,55 |
| 5203 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5204 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5205 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5206 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1,75 | 1,85 |
| 5208 | ბლექბერნი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5209 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,75 |
| 5210 | სიტი-ნორვიჩი | 1,8 | 1,8 |
| 5259 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.65 |
| 5260 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2.1 | 1.65 |
| 5261 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2.1 | 1.65 |
| 5262 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1.9 | 1.8 |
| 5263 | შალკე-შტუტგარდი | 1.85 | 1.85 |
| 5264 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.1 | 1.65 |
| 5265 | ვოლფსბურგი-მაინცი | 2.2 | 1.6 |
| 5266 | ჰანსა-ნიურნბერგი | 2.0 | 1.7 |
| 5267 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 2.0 | 1.7 |
| 5278 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.75 | 1.95 |
| 5279 | ინტერი-ლაციო | 2.0 | 1.7 |
| 5280 | იუვენტუსი-კიევო | 1.8 | 1.9 |
| 5281 | ლივორნო-ბრეშა | 1.7 | 2.0 |
| 5282 | მესინა-რეჯინა | 1.7 | 2.0 |
| 5283 | პარმა-ატალანტა | 1.85 | 1.85 |
| 5284 | რომა-კალიარი | 1.95 | 1.75 |
| 5285 | სამპდორია-მილანი | 1.75 | 1.95 |
| 5286 | სიენა-ბოლონია | 1.7 | 2.0 |
| 5287 | უდინეზე-პალერმო | 1.75 | 1.95 |
| 5288 | ბილბაო-ბარსელონა | 2.0 | 1.7 |
| 5289 | ბეტისი-მალაგა | 1.7 | 2.0 |
| 5290 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.7 | 2.0 |
| 5291 | დეპორტივო-ალბასეტე | 1.8 | 1.9 |
| 5292 | მალიორკა-რასინგი | 1.7 | 2.0 |
| 5293 | ნუმანსია-სოსიედადი | 1.7 | 2.0 |
| 5294 | ოსასუნა-ლევანტე | 1.7 | 2.0 |
| 5295 | რეალი-ხეტაფე | 2.25 | 1.55 |
| 5296 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.85 | 1.85 |
| 5297 | სარაგოსა-სევილია | 1.7 | 2.0 |

საქართველოს ჩემპიონატი

# დაუკარით, უჩემპიონო ჩემპიონატია



მეთოთხმეტე ჩემპიონატი ჩემპიონი „ბასკოს" გარეშე იწყება

**ხვალ** ვერის ბაღში მეთოთხმეტედ აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა და გაიხსნება ეროვნული ჩემპიონატი — ქართული კლუბების მორიგი მარათონი პირველობისთვის. ვისურვებდით, წლების მატებასთან ერთად ქართულ ჩემპიონატს დონეც მომატებოდა, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება...

წინა სეზონთან შედარებით, საქართველოს ჩემპიონატში ბევრი შეიცვალა. სიახლე იმდენია, მგონი, არც ერთ სეზონთაშორის პერიოდში რომ არ ყოფილა, მაგრამ ამ სიახლეებით ქართული კალათბურთის გულშემატკივარი კმაყოფილი ვერ იქნება.

რაკი წინა ჩემპიონატის გამარჯვებული „ბასკო" აღარ არსებობს, აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება და ალბათ ეს იქნება გუნდი, რომელსაც აქამდე არასდროს მოუგია ეროვნული პირველობა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის რეფორმები, რომელიც 2003 წლის ჩემპიონ „დინამო თბილისში" განხორციელდა. თუმც რეფორმას ძნელად თუ უწოდებ დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდში მომხდარ ამბებს, რაკი ეს სიტყვა წინსვლას გულისხმობს, „დინამოში" კი ყველაფერი არცთუ უკეთესობისკენ შეიცვალა.

თქმა არ უნდა, რომ ამის მიზეზი „ბასკოსთან" დასანანად წაგებული ფინალი იქნებოდა — ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა „დინამომ" ნახევრად დაშლილ გუნდთან ხუთრაუნდიანი ფინალი წააგო და სანაცვლოდ ის მიიღო, რომ უფროსობამ დაფინანსება შეუმცირა. „დინამოს" მხოლოდ ის დაუტოვეს, რაც საშუალოზე კარგი, ოღონდ არასაჩემპიონო გუნდის გასაკეთებლად იკმარებდა. დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ძველი გუნდიდან მხოლოდ ორი მოთამაშე შეინარჩუნა, თუმც გამართული სელექციის წყალობით საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა შემოიკრიბა. ამიტომაც ვამბობთ, გამარჯვებული ალბათ ახალი იქნებაო, რაკი მოქმედი ჩემპიონი „ბასკო" დაშლილია, „დინამოს" ამბავიც უკვე მოგახსენეთ.

და ვინ იქნება ეს ახალი ჩემპიონი? „სტუ-ჯეოსელი?" შესაძლოა, თუმც არანაკლები შანსი აქვს „თბილავიამშენს", რომლის ჩამოყალიბებაც ყოველმხრივ დაბეჩავებული ეროვნული ჩემპიონატის შემხედვარე, ალბათ ყველაზე გულმოსალბობი ამბავია.

ავიაქარხნის ბაზაზე ხელმეორედ აშენდა გუნდი და ის წინამორბედ „შევარდენზე" გაცილებით შემძლეა. „თბილავიამშენს" ჯერ ერთი ოფიციალური შეხვედრაც კი არ ჩაუტარებია, მაგრამ ქართული საზომით ისეთი ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, აქედანვე შეიძლება დავასახელოთ ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად.

„თბილავიამშენი" და „სტუ-ჯეოსელი" — აი, საქართველოს ჩემპიონატის მომავალი ლიდერები. ამ ორ გუნდსა და დანარჩენებს შორის გვარიანი ზღვარია, მაგრამ სანამ სატრანსფერო ფანჯარა არ დაიხურება, რამის გადაჭრით თქმა შეუძლებელია, რაკი ორისამი შემძლე კალათბურთელი რომ დაიმატონ, „დინამო" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი უმალ საჩემპიონო ამბიციას შეიძენენ. საამისო შანსიც გაიზარდა, რაკი ირანში წასული ქართველების ერთი ნაწილი ამ დღეებში დაბრუნდა საქართველოში და არც ისაა გამორიცხული, რომ სპარსეთში დარჩენილი კიდევ არაერთი ჩვენიანი გამოუყვეს თბილისის გზას. მათ აქ ხელგაშლით მიიღებენ ფინანსურად მეტნაკლებად წელგამართული გუნდები.

სასიამოვნოა ის, რომ თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ აღსდგა თელავის გუნდი, 1991 წლის ბრინჯაოს მედალოსანი. კახელებმა ახალგაზრდული გუნდი შეკრიბეს და, როგორც დუდუ დადიანის ტურნირზე გამოჩნდა, სუსტების გვერდით დაიკავებენ ადგილს. თელაველები ჩაენაცვლებიან აუტსაიდერ „ქუთაისს", რომელიც უსახსრობის გამო დაიშალა. დანარჩენ გუნდებზე კი რა გინდა, რომ თქვა? სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ისეთივე გაქანების იქნება, რაც აქამდე. ანუ სსუ-ს ისევ პრობლემად ექნება გამარჯვებების მოპოვება და, როგორც ყოველთვის, ცხრილის ფსკერზე ყოფნას უნდა დასჯერდეს.

ისევ ის, ეგებ უფრო სუსტიც იყოს „მაკაბი". ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს ხეირიანი შევსება არ მიუღია, შარშანდელი ჩემპიონატის ბომბარდირი გოჩა წოწელია კი დაკარგა.

სპონსორშეცვლილი რუსთაველებიც ვერ იქნებიან დალხენილად, მაგრამ გუნდი რომ ეყოლებათ, ამისი მადლობლებიც არიან. ქვემოქართლელები ერთხანს ყველამ მიატოვა და ოთარ ხმელიძის გუნდში ვარჯიშიც შეწყდა, თუმც მოულოდნელად ღვთისნიერი ფრანგი, საწარმო „თუჯის" მეწილე ფლორიან კასტროლი გამოჩნდა და რუსთაველებმაც თავი გადაირჩინეს. ახლა კი მადა გაეხსნათ და ირანიდან წამოსული არჩილ ელენტის შემატებაც უნდათ. თუ ფრანგმა ფული გაიღო, ვინძლო რუსთაველებმა ძველი იერსახე დაიბრუნონ და საჩემპიონო ყიჟინაც ომახიანად დასცენ.

დაბოლოს, ერთი რეპლიკა, რომელიც ერთის მხრივ კარგია, მეორეს მხრივ ცუდი. საქართველოს მე-14 ჩემპიონატი ბოლო წლებთან შედარებით ყველაზე ეროვნული ტურნირი იქნება, რაკი საქართველოში აღარ არიან ლეგიონერები — ყველა ერთიანად ირანის გზას გაუყვა.

**გიორგი ცარციძე**

### თბილავიამშენი

| | | |
|---|---|---|
| დავით თორთლაძე | 1970 | 183 |
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 190 |
| გიორგი ნიკოლაძე | 1978 | 188 |
| გოჩა ნონელია | 1977 | 195 |
| ლევან მოსეშვილი | 1986 | 195 |
| ამროსი ორმოცაძე | 1970 | 200 |
| მამუკა ბოლქვაძე | 1985 | 204 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 1982 | 205 |
| კახა შენგელია | 1972 | 208 |
| მამუკა აბრამიძე | 1973 | 196 |
| ბექა ნოზაძე | 1979 | 200 |

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან მოსეშვილი
*მწვრთნელი:* ვაჟა მხეიძე

### დინამო

| | | |
|---|---|---|
| ნოდარ ბექაური | 1986 | 195 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 1985 | 205 |
| რევაზ დიდია | 1987 | 201 |
| ნიკოლოზ დერიუგინი | 1985 | 202 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 1982 | 198 |
| გიორგი გამყრელიძე | 1986 | 180 |
| ივანე მაისურაძე | 1986 | 194 |
| ბუბა კვიმსაძე | 1985 | 193 |
| ვლადიმერ სუხიშვილი | 1979 | 206 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 1987 | 196 |

*მთავარი მწვრთნელი:* დრაჟენ ბრაიკოვიჩი
*მწვრთნელი:* ზურაბ ტომარაძე

### სტუ

| | | |
|---|---|---|
| დავით ბერიშვილი | 1978 | 180 |
| გიორგი გაგნიძე | 1981 | 192 |
| შალვა კოხრეიძე | 1989 | 188 |
| ლუკა შანიძე | 1982 | 200 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 200 |
| რამაზ გოგობერიშვილი | 1974 | 196 |
| ზვიად მიქაძე | 1981 | 192 |
| ალეკო დავითულიანი | 1974 | 196 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 1989 | 207 |
| გიორგი პირველაშვილი | 1988 | 198 |
| ლაშა დევიძე | 1989 | 203 |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 203 |

*მთავარი მწვრთნელი:* ნაგზარ ჭეიშვილი
*მწვრთნელი:* ნიკო ჩერქეზიშვილი

### თსუ

| | | |
|---|---|---|
| ირაკლი ბაქრაძე | 1871 | 194 |
| ირაკლი მაისურაძე | 1976 | 190 |
| გიორგი ლომიძე | 1984 | 205 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1983 | 188 |
| დავით ხიზანიშვილი | 1987 | 200 |
| ნიკა ვეფხვაძე | 1981 | 185 |
| ნუგზარ კოკოლიშვილი | 1971 | 198 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | 1988 | 188 |
| მიხეილ ფანჩულიძე | 1983 | 194 |
| ბესო ლეჟავა | 1986 | 193 |
| ნოდარ ბერია | 1986 | 190 |
| გიგი ნაცვლიშვილი | 1980 | 196 |

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ტურაშვილი
*მწვრთნელი:* გია ჯავახიშვილი

### თუჯი (რუსთავი)

| | | |
|---|---|---|
| ლევან ჩაჩუა | 1978 | 190 |
| დავით არნივიძე | 1983 | 175 |
| ანატოლი ბოისა | 1983 | 195 |
| იური დანელიანი | 1982 | 202 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 1983 | 205 |
| გეგი ლიპარტელიანი | 1985 | 194 |
| დავით მურჯიკნელი | 1987 | 203 |
| მიხეილ ჭოჭუა | 1987 | 192 |
| ილია ასპანიძე | 1986 | 195 |
| ოთარ ფაიქრიძე | 1985 | 188 |

*მთავარი მწვრთნელი:* ოთარ ხმელიძე
*მწვრთნელი:* ბადრი კიკვიძე

### მაკაბი

| | | |
|---|---|---|
| სოსო ნინოშვილი | 1981 | 189 |
| ზურაბ ბადრიძე | 1985 | 189 |
| ზურაბ კირკიტაძე | 1983 | 194 |
| გიორგი ერგემლიძე | 1985 | 203 |
| მამუკა ციცხელაური | 1976 | 206 |
| გივი ვაშაკიძე | 1985 | 204 |
| თენგიზ გვარამაძე | 1986 | 190 |
| ირაკლი კონჯარია | 1980 | 202 |

*მთავარი მწვრთნელი:* ჯამლეტ ხუხაშვილი
*მწვრთნელი:* ალექსენდრე ფერიაშვილი

### სსუ

| | | |
|---|---|---|
| ბექა კოლეთიანი | 1988 | 195 |
| მანუჩარ ნინუა | 1986 | 180 |
| შოთა პატარაია | 1986 | 176 |
| მამუკა იმედაშვილი | 1986 | 196 |
| ჯიმშერ ჭოველიძე | 1986 | 183 |
| ბეჟან ქვილითაია | 1972 | 202 |
| მიხეილ ბერიშვილი | 1987 | 200 |
| ლაშა ონიკაშვილი | 1987 | 196 |
| დავით ჯიქია | 1988 | 192 |
| გიორგი გასიტაშვილი | 1987 | 192 |
| ლუკა ნოზაძე | 1988 | 205 |
| ილია სებისკვერაძე | 1987 | 198 |
| მამუკა ხოშტარია | 1984 | 195 |
| ზურაბ ნონეშვილი | 1986 | 196 |

*მთავარი მწვრთნელი:* ვაჟა კვარაცხელია

### ბურჯი (თელავი)

| | | |
|---|---|---|
| ნიკა სეხნიაიძე | 1975 | 190 |
| იოსებ იაგორაშვილი | 1976 | 190 |
| დავით პაპუნაშვილი | 1983 | 185 |
| ბესიკ დოლმაზაშვილი | 1977 | 200 |
| ბექა ფეიქრიშვილი | 1982 | 181 |
| დავით აკოლაშვილი | 1979 | 185 |
| შალვა ანთელავა | 1988 | 196 |
| ბექა ნუცუბიძე | 1975 | 200 |
| ანდრო ქუჯაიძე | 1984 | 193 |
| გიორგი ამირანაშვილი | 1987 | 192 |
| დიმიტრი ოსაძე | 1982 | 186 |
| ალექსანდრე ჭუაძე | 1980 | 190 |
| კახა თეგერაშვილი | 1988 | 188 |

*მთავარი მწვრთნელი:* ნოდარ იანქოშვილი
*მწვრთნელი:* ზურაბ ლომიაშვილი

### პირველი წრე

| | |
|---|---|
| 31 ოქტომბერი | |
| თბილავიამშენი — მაკაბი | 12.00 |
| სეზონის გახსნა | 13.30 |
| სტუ — თუჯი | 14.00 |
| ბურჯი — სსუ | 15.00 |
| დინამო — თსუ | 16.00 |
| 7 ნოემბერი | |
| სსუ — თსუ | 12.00 |
| თბილავიამშენი — დინამო | 14.00 |
| ბურჯი — სტუ | 15.00 |
| თუჯი — მაკაბი | 17.00 |
| 14 ნოემბერი | |
| სტუ — სსუ | 12.00 |
| დინამო — თუჯი | 14.00 |
| ბურჯი — თბილავიამშენი | 15.00 |
| თსუ — მაკაბი | 16.00 |
| 21 ნოემბერი | |
| სსუ — მაკაბი | 12.00 |
| დინამო — სტუ | 14.00 |
| ბურჯი — თუჯი | 15.00 |
| თბილავიამშენი — თსუ | 16.00 |
| 28 ნოემბერი | |
| დინამო — ბურჯი | 12.00 |
| მაკაბი — სტუ | 14.00 |
| სსუ — თბილავიამშენი | 16.00 |
| თუჯი — თსუ | 17.00 |
| 5 დეკემბერი | |
| მაკაბი — ბურჯი | 12.00 |
| თსუ — სტუ | 14.00 |
| სსუ — დინამო | 16.00 |
| თუჯი — თბილავიაშენი | 17.00 |
| 12 დეკემბერი | |
| თსუ — ბურჯი | 12.00 |
| სტუ — თბილავიამშენი | 14.00 |
| სსუ — თუჯი | 16.00 |
| მაკაბი — დინამო | 18.00 |

*თუჯი და ბურჯი საშინაო მატჩებს საკუთარ ქალაქებში უმასპინძლებენ*




ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე

„საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ საკლუბო რაგბიდან მივდივარ“ — გვითხრა გუშინ ლევან ცაბაძემ, ვისაც დიდი თუ პატარა უფრო ლეონსიოდ იცნობს და ქართული რაგბის უპირველეს ვარსკვლავადაც თვლის.

თუმცა შეხვედრა, რომელზეც ლეონსიომ ეს სიტყვები თქვა, სულაც არ ყოფილა სევდიანი — ლევან ცაბაძემ გუშინ შპს „ლეონსიოს“ პრეზენტაციაზე მიგვიწვია და ფრანგული ღვინოც გვასვა.

ღვინომდე კი ლეონსიომ ესეც თქვა: „ჟურნალისტებს ბევრჯერ გიკითხავთ, მორაგბის კარიერის დასრულების მერე რას აპირებო. დღეს სწორედ ამის სათქმელად მოგიწვიეთ. მე და ჩემი ფრანგი მეგობრები საქართველოში ფირმას ვაარსებთ, რომელიც სხვადასხვა დანიშნულების სიგნალიზაციებს შესთავაზებს და დაუმონტაჟებს კლიენტებს.“

ლეონსიოს ახალი საქმის დაწყება მივულოცეთ, თუმცა მის ერთ ნათქვამს რომ არ ჩავჭიდებოდით, არ იქნებოდა — აი, იმას, საკლუბო კარიერას ვამთავრებო, ხაზგასმით რომ აღნიშნა.

„გული მერჩის და ძალიან მინდა, საქართველოს ნაკრებს კიდევ გამოვადგე. იმედი მაქვს ჯანმრთელობაც მომცემს თამაშის საშუალებას. დანარჩენი კი მწვრთნელებზეა, ჩათვლიან თუ არა, რომ კიდევ საჭირო ვარ.

**ქოტე ქექელია**





ნიკა ცქიტიშვილი და ნენე ილარიო ერთად და იმედით იწყებდნენ

# მაიძულე, რომ გათამაშო!

## ცქიტიშვილს დენვერმა ერთი წელი ჩამოაჭრა

**„დენვერ ნაგიტსის“** გამგებლმა კიკი ვანდევეიმ ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ, როგორც იქნა, გამოაცხადა, რომ მისი კლუბი მომავალი სეზონის შემდეგ აღარ გაუგრძელებს კონტრაქტს ქართველ ფორვარდ ნიკოლოზ ცქიტიშვილს. ასე და ამგვარად, „ცქიტოს“ ერთი სეზონიღა დარჩა „დენვერში“ სათამაშო, მერე კი თავისუფალი აგენტი გახდება.

სამწლიანი კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივების უფლება „დენვერმა“ 2002 წელს მიიღო, როცა დრაფტზე მე-5 ნომრად აყვანილ ცქიტიშვილს ხელშეკრულება გაუფორმა. ქართველ ფორვარდს სამი წელი გარანტირებული ჰქონდა „ნაგიტსში“ ყოფნა და თუ ამ ხნის განმავლობაში თავსაც გამოიჩენდა, კლუბს შეეძლო, ცქიტიშვილი კიდევ ერთი წლით დაეტოვებინა, ოღონდ საამისოდ დენვერელებს დამატებით 3,69 მილიონი უნდა გაეღოთ. ქართველმა ვერ გაამართლა იმედები და ვანდევეის გადაწყვეტილებაც არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი.

სამაგიეროდ, „დენვერმა“ კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივების უფლება გამოიყენა დრაფტზე ცქიტიშვილთან ერთად აყვანილ ნენე ილარიოს, ბოლო დროს კი მხოლოდ ნენედ წოდებული ჯანიანი ბრაზილიელის შემთხვევაში. ნენემ გაამართლა და რომ არა მისი კონტრაქტის სპეციფიკა, გაცილებით მეტს დაიმსახურებდა. ასე კი, ბრაზილიელს იქითა სეზონშიც დენვერული მაისურით მოუწევს თამაში, რაშიც „ოდენ“ 3 მილიონს მიიღებს.

„ნენეს დატოვების გადაწყვეტილება იოლად მივიღეთ — ამბობს ვანდევეი — ცქიტიშვილის შემთხვევაში კი ბევრი ვიფიქრეთ. მე მჯერა, რომ „სკიტა“ კარგი კალათბურთელი გახდება და საამისოდ მას აქვს დრო — ის საკმაოდ ახალგაზრდაა. საბედნიეროდ, ცქიტიშვილის კიდევ ერთი სეზონი დარჩება ჩვენთან და მინდა, მის გასაგონად ვთქვა: მაიძულე, რომ ამ სეზონში გათამაშო.“

**ბესო ლოგუა**



# მე ყველაზე მაგარი ვარ!

## აგასი ოცდაათიანებში [illegible]

**სანკტ-პეტერბურგის ღია პირველობა**
ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო 1 მილიონი $

**მეორე წრე**

**მარატ საფინი** (1, რუსეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:2; **მიხაილ იუჟნი** (4, რუსეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:5, 3:6, 6:2; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 7:6 (10:8)

**GENERALI LADIES**
ლინცი. ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 6:4, 6:0; **ვერა ზვონარიოვა** (4, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:4; **აი სუგიამა** (იაპონია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1; **მეგენ შონესი** (აშშ) — იულია შრუფი (გერმანია) 7:5, 6:2

ქალთა ამჟრის მეორეადგილოსან ამელი მორესმოს წინა კვირაში, ციუხობაზე თამაში ნატკენი ბარძაყის გამო არ გამოუვიდა. მაგრამ ახლა ბარძაყი უკვე გადაზეელილია და ფრანგთა დეკეულსაც ჩოგანს ალარაფერი უშლის, მორიგი ტიტულისთვის იბუქნაოს. ამ ჯერზე ის 18 წლის უსახელო პოლონელ დომახოვსკას ეთამაშა და, თუკი პირველ სეტში კიდევ ეტყობოდა ერთკვირიანი უთამაშებლობა, მეორეში უკვე კაი რამ სანახავი გახლდათ.

**DAVIDOFF SWISS INDOORS**
ბაზელი. ხალიჩა
საპრიზო 989 750 ევრო

**მეორე წრე**

**ტიმ ჰენმანი** (2, ბრიტანეთი) — უესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:2), 6:7 (0:7), 6:4; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) 6:1, 1:6, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — ვინს სპედია (აშშ) 6:4, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ტომი რობრედო (5, ესპანეთი) რობრედომ ვერ ითამაშა; **რაინერ შუტლერი** (6, გერმანია) — მარკო კიუდინელი (შვეიცარია) 7:6 (7:4), 6:2; **ნიკოლას მასუ** (7, ჩილე) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:2, 6:4; **ბოლდან ულირახი** (ჩეხეთი) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:1, 6:4



ტურნირის ორგზის ჩემპიონ ტიმ ჰენმანს მეორე წრეში მოულოდნელად უფიცხელესი ჩახა-ჩუხი გადახდა. მსოფლიო რეიტინგსიის ოდენ 171-ეადგილოსანი უესლი მუდი 30 წლის კუნძულელს მისივე იარაღით ეომა, მძლავრ მოწოდებას ბადესთან მივარდნა გადააბა, 11 ეისის წილ 24 გამჭოლი მოწოდება გადაუჭირა და ჯამში 36 დაძაბული გეიმის განმავლობაში აოფლიანა.

ძალიან ძნელია თავდაჯერებულობის შენარჩუნება მაშინ, როცა 24-ჯერ დაგაეისებენო, იძახდა ნამატჩევს ჰენმანი, თუმცა იქვე დასძენდა, რომ ამის მიუხედავად ჩოგანი მაინც არ აჰკანკალებია და ჭაპანი ბოლომდე გასწია.

მეოთხედფინალში ამ ჭაპანს ირჟი ნოვაკი უნდა გასძალიანებოდა. ჩეხი უბრძოლველად გასცდა ტომი რობრედოს, რომელსაც მკლავის გაშლა მტკივანმა მხარმა არ დაანება.

აოტეს წლევანდელი როლანგაროსობის გამარჯვებული გასტონ გაუდიო — მას მსოფლიოში რანგით 92-ე ჩოგნის მქნეველი შტეფან კუბეკი გაუსწორდა. გაუდიოს თვისტომმა, ტურნირის შარშანწინდელმა ჩემპიონმა დავიდ ნალბანდიანმა კი უპრობლემოდ გაივაკა და გუშლამ რაინერ შუტლერთან უნდა ერკინა.

**სტოკჰოლმის ღია პირველობა**
ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 643 750 ევრო

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:4; **იოახიმ იოჰანსონი** (2, შვედეთი) — ჟანმიშელ გემბილი (აშშ) 6:4, 6:4; **ტომი ჰაასი** (4, გერმანია) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:5, 7:5; **მიხაელ რიდერშტედტი** (შვედეთი) — ფელისიანო ლოპესი (5, ესპანეთი) 6:4, 6:7 (4:7), 6:3

სტოკჰოლმურმა ფანობამ იმ დღეს 30 წელს გადაცილებულთა საინტერესო ბურთაობა იხილა — 34 წლის ანდრე აგასი თავისზე ორი წლით უმცროს იონას ბიორკმანს შეხვდა და ანგარიშზევე დაატყობთ, ყოველგვარი გართულების გარეშე აჯობა. „ოცდაათს გადაცილებულებთან თამაში ჩემთვის გაცილებით უფრო ძნელია, რაკილა მათთან მე ნიადაგ იმის დამტკიცება მიხდება, რომ ოცდაათს გადაცილებული ყველაზე მაგარი მეჩოგნე ვარ“ — ანგლობდა ნამატჩევს ბებერი არმენოამერიკელი. ეს მათი მეოთხე შეხლა იყო და აგასი შვედს უკვე 4:0 უგებს.

**ლევან ქელაურაძე**



მაგნუს ნორმანმა ხელები აწია

# არ დასცალდა

**დიდი ჩოგბურთიდან** წავიდა 28 წლის სახელიანი შვედმეჩოგნე მაგნუს ნორმანი. საფრანგეთის ღია პირველობის ოდინდელი ფინალისტი ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება გაუთავებელმა ტრავმიანობამ მიაღებინა.

„უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ტრავმებმა ცხოვრებაც წამიმურდლეს და ჩოგბურთიც. ასე რომ, ახლა ერთგვარ შვებასაც კი ვგრძნობ“ — თქვა მან გუშინ სტოკჰოლმში გამართულ პრესკონფერენციაზე.

თავისი ცხრაწლიანი პროფესიული კარიერისას ნორმანმა 12 ტიტული და 4,5 მილიონი დოლარი იშოვა. მისთვის ყველაზე წარმატებული წელი გახლდათ 2000 წელი, როცა მან ხუთი ტურნირი მოიგო, როლანგაროსობის ფინალს უწია — სადაც გუსტავო კუერტენთან დამარცხდა — და კაცთა რეიტინგსიის მეორე საფეხურსაც შესწვდა.

მაგრამ მომდევნო სეზონიდან მას ხან ბარძაყის ტრავმა აწუხებდა, ხანაც მუხლისა და ამის გამო რამდენიმე ოპერაციის გადატანაც მოუხდა. ყოველივე ამის შედეგად მან საზეო ფორმის დაბრუნება ეგრეც ველარ მოახერხა და, რა გასაკვირია, ჩოგნის ჩამოკიდება რომ არჩია.

# ქართული კრივი სრულად შეიკრიბა
## სად იყო არჩევნები?

*ვერის ბაღთან ახლოს მდებარე ილია ჭავჭავაძის სახელობის არასახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გუშინ დიდი ამბავი იყო. კულტურული დროსტარების ადგილზე მოკრივეები გამაგრებულიყვნენ და ატმოსფეროც ისეთი შეექმნათ, არც ერთ, თუნდაც კრივის მოყვარულ სტუდენტს შიგნით შეხედვაც არ მოუნდებოდა. ფედერაციის დაახლოებით ორასკაციანი საარჩევნო კრება თავიდანვე ხმაურით დაიწყო და სამი საათი ასე გაგრძელდა*

დარბაზში თავშეყრილ 141 დელეგატსა და კრივში მოტრიალე კიდევ ათობით სპეციალისტს კრების დაწყებამდე ყველაზე მეტად ერთი აინტერესებდა — ჩატარდებოდა თუ არა პრეზიდენტის არჩევნები. სამივე კანდიდატიც — მოქმედი პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი, პროფესიონალი მოკრივე რამაზ ფალიანი და 71 წლის მწვრთნელი გიორგი ჩიხლაძეც — იქვე ტრიალებდა, თუმც კრება ისე მიილია, კენჭისყრის ჩატარება ერთსაც არ მოუსურვებია.

დღის წესრიგის წაკითხვის შემდეგ თითოეული პუნქტის თანმიმდევრულად შესრულებაც დაიწყო, მაგრამ სიმშვიდემ ოდენ ოციოდ წუთს გასტანა, ვიდრე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ განვლილი ორი წლის მუშაობის შემაჯამებელი თაბახები არ ჩაიკითხა. ბოლოსკენ სმენადობამ იკლო და რეგლამენტის შემხსენებელთა რაოდენობა გაიზარდა. კიკნაველიძის მოხსენების დასრულებისთანავე დარბაზიდან ცხელი კითხვები წავიდა. ძირითადად ყველას აინტერესებდა ფედერაციის ანგარიში 2002-2003 წლების დანახარჯის შესახებ. კანდიდატმა ჩიხლაძემ კი ნაკრების მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს მიმართა, საათენო სამზადისის ოლიმპიელების თქვენს სახლში ცხოვრებას რა დავარქვათო. თანხებზე საუბარი არ გაგრძელებულა, ხოლო მესხაძემ თავის მოხსენებაში თქვა, ბიჭების ჩემთან ცხოვრება ჩემივე ინიციატივით მოხდაო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ნელ-ნელა მიიწევდა წინ, მაგრამ ისეთ ხორხოცსა და ღრიანცელში, თამადადაძინებულ სუფრას რომ ახლავს. ერთ-ერთი საკითხი — წესდებაში ცვლილებების შეტანაც ისე გავიდა სრული უმრავლესობით, არავის უფიქრია, კერძოდ რა ცვლილებებზე იყო საუბარი. ცოტა ხანში, რამდენიმე ადამიანის პროტესტის შემდეგ სულაც აღმოჩნდა, რომ წესდება ბევრს თვალითაც არ ენახა, მაგრამ თქვეს — ცუდია, ამას აბა, რაღა კამათი უნდაო და შემდეგ საკითხზე გადავიდნენ.

ერთსულოვნადვე დადებითად გადაწყდა გამგეობის წევრთა რაოდენობის გაზრდის იდეაც და ცამეტი ცხრამეტით შეცვალეს. მერე კი დაიწყო და რა დაიწყო...

დისკუსია მანამდე არ გვაკლდა. სპეციალურად მისთვის განსაზღვრულ დროს კი აბა, ვინღა იქნებოდა გამკითხავი. კანდელაკისა და ფალიანის მომხრეები ტრიბუნასთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და თითოეულის ხუთწუთიანი რეგლამენტი ლამის ოც წუთს აჭარბებდა. ბოლოს ფალიანმა და მისმა გუნდმა დარბაზი დატოვა და ყრილობა მთლიანად მოქმედი პრეზიდენტის საქმიანობით კმაყოფილთა მოწოდებებით ჩამთავრდა. დარბაზს შერჩენილები საპრეზიდენტო არჩევნების ორი წლის შემდეგ ჩატარებას ქადაგებდნენ, გარეთ მყოფნი კი გვარწმუნებდნენ, ეს აუცილებლად უახლოეს დღეებში უნდა მოხდესო.

გაიჟღერა მავანი თურქის, ჯანერ დოგანელის გვარ-სახელმაც, რომელიც მსოფლიოს კრივის ასოციაციის ვიცეპრეზიდენტია და თურმე მალე პრეზიდენტიც გახდება. მას კანდელაკის ბანაკი ქართული კრივის მტერს, ხოლო ფალიანის ბანაკი ჩვენდამი კეთილად განწყობილ ადამიანს უწოდებს. ოღონდ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ პრეზიდენტი ფალიანი გახდებაო.

ბოლოს სამივე კანდიდატის კრებისშემდგომ კომენტარებსაც გადაავლეთ თვალი.

**რამაზ ფალიანი:** „აქამდე კრივის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი მერქვა, მაგრამ ჩემი და კანდელაკის ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელება გამორიცხულია. არჩევნები აუცილებლად რამდენიმე დღეში გაიმართება და მისი კიდევ ორი წლით გადატანას არაფრით დავუშვებ. დღეს რომ კენჭი არ იყრებოდა, ვიცოდი. მოვედი, რათა ყრილობას დავსწრებოდი, მაგრამ რაც აქ ხდებოდა, ყრილობის გარდა ყველაფერს ჰგავდა.

...პრეზიდენტობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. გარანტიად, მგონი, ჯანერ დოგანელთან თბილი დამოკიდებულებაც კმარა. ეს კაცი ყველანაირად დამიდგა გვერდში და მისი დამსახურებაა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი. ჩვენი მეგობრობა ახლაც გრძელდება და დოგანელს შეუძლია, ქართული კრივის კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეიტანოს. მინდოდა, დღესაც ჩამომეყვანა, მაგრამ ვიცოდი, აქ რა ამბავიც იქნებოდა და თავი შევიკავე."

**გიორგი ჩიხლაძე:** „71 წლის კაცმა სავარჯიშო დარბაზი თვითონ მოვაწყვე და მაქსიმალურად ვცდილობ, ბავშვებს არაფერი მოვაკლო. ენთუზიაზმისა და რამდენიმე მშობლის ხარჯზე ასე თუ ისე ვახერხებ. გული იმაზე მწყდება, რომ ფედერაცია ერთხელაც არ დაინტერესებულა, რა გვიჭირს და რა გვილხინს. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი კანდიდატურა წამომეყენებინა. მეგონა, არჩევნები დღესვე იქნებოდა და მართლა ვერ გავიგე, რატომ გადაიდო."

**გიორგი კანდელაკი:** „მე და რამაზ ფალიანი მეგობრები ვართ და ნათელ-მირონი გვაკავშირებს. ჩვენს შორის მტრობა გამორიცხულია. იგი ფედერაციის ვიცეპრეზიდენტია და ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. რაც შეეხება არჩევნებს, იგი 2006 წლამდე აღარ გაიმართება. ეს დღევანდელმა ყრილობამ ყველას თვალნათლივ დაანახა. 90 პროცენტი იმის მომხრეა, რომ ორი წლის განმავლობაში ფედერაციაში ცვლილებები არ მოხდეს და 10-15 კაცის აზრის გათვალისწინება მართებული არ იქნებოდა. კი, ბატონო, ჩავატაროთ ვადამდელი არჩევნები, მაგრამ საამისოდ დელეგატთა 51 პროცენტის სურვილია საჭირო.

...დოგანელი ქართული კრივის მტერია. იგი რამდენიმე წელია, სასწაულად გვჩაგრავს. ჯერ კიდევ 1998 წელს ევროპის გუნდური ჩემპიონობა წაგვართვა. მას შემდეგ კი არაერთხელ შეგვახსენა თავი. ჩვენი მსაჯის ზურაბ ტიბუას დისკვალიფიკაციაც პირადად დოგანელის დამსახურებაა."

ოთარ მაღლაკელიძე


რამაზ ფალიანი და გიორგი კანდელაკი



**საჭადრაკო ოლიმპიადა**

Calvià 36 2004 Mallorca 14-31 Octubre 2004

**ვაჟები. XIV ტური**

**საქართველო 0,5:3,5 სომხეთი**

ზვიად იზორია — ვლადიმერ აკოფიანი 0:1
ბაადურ ჯობავა — ლევონ არონიანი 0,5:0,5
მერაბ გაგუნაშვილი — რაფაელ ვაგანიანი 0:1
თამაზ გელაშვილი — სუმბათ ლპუტიანი 0:1

**ქალები. XIV ტური**

**საქართველო 2,5:0,5 უკრაინა**

მაია ჩიბურდანიძე — ნატალია ჟუკოვა 0,5:0,5
ნანა ძაგნიძე — ინა გაპონენკო 1:0
ლელა ჯავახიშვილი — კატერინა ლაჰნო 1:0

# ტრადიციის ინერცია
## გოგონები უმედლოდ დარჩნენ

**ესპანური** საჭადრაკო ოლიმპიადა ქართული გუნდებისთვის უშედეგოდ დასრულდა. მეოთხე ადგილი შეიძლება ბევრი ქვეყნისთვის სატრაბახოც ყოფილიყო. ალბათ ჩვენთვისაც, საქმე კაცებს რომ ეხებოდეს მაგრამ ამხელა ტრადიციების მქონე ქართული ქალთა საჭადრაკო სკოლისთვის მესამე-მეოთხეობა ვერაფერი შედეგია.

გუშინ მაია ჩიბურდანიძემ, ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა უკრაინელ ქალებთან გამალეს დაფები და მხოლოდ ნახევარი ქულა დაუთმეს, მაგრამ ასეთივე უპირატესობით იმარჯვა ამერიკამაც და ის ნახევარქულიანი უპირატესობა, ბოლოსწინა ტურში რომ შეიქმნა, ხელუხლებელი დატოვა. სამაგიეროდ მხოლოდ 2:1 იმარჯვეს რუსებმა ფრანგებთან და სწორედ მათთან გავინაწილეთ მესამე-მეოთხე ადგილები.

კაცებმა ბოლო ტური ისე ჩაითამაშეს სანატრელი ხუთეული კი არა, ათეული და თხუთმეტეულიც მიუწვდომელი დარჩა. სომხეთის ნაკრებთან დაპირისპირებიდან ყველაზე მშრალად ბაადურ ჯობავა გამოვიდა.


ბაადურ ჯობავა

სწორედ მან გაახერხა ერთადერთი ყაიმი. ზვიად იზორიამ, მერაბ გაგუნაშვილმა და თამაზ გელაშვილმა კი ერთიმეორეს მიყოლებით წააგეს. შედეგმაც არ დააყოვნა და საბოლოო ცხრილში საქართველომ სხვა შვიდ ქვეყანასთან ერთად მე-21-28 ადგილები გაინაწილა.

ჩემპიონი მოლოდინისამებრ უკრაინა გახდა, ხოლო მეორე-მესამე ადგილები სომხებმა და რუსებმა გაინაწილეს. ქალებში საუკეთესო ჯერ კიდევ გუშინ წინ იყო ცნობილი. ჩინელები მაინც არ მოეშვნენ და სლოვაკებიც 2:1 დაამარცხეს. მეორე ამერიკაა, მესამე-მეოთხეებზე უკვე მოგახსენეთ.



**საქართველოს XV ჩემპიონატი**

პირველი წრე. „ა" ქვეჯგუფი

თელავი. 29 ოქტომბერი

სტუ-შევარდენი 42:33 ქარიშხალა

თელავი 24:28 ხ/კ თბილისი

# ქარიშხალამ შევარდენი თითქმის შეაფრთხიალა

გია ახალაძე თელავიდან

გუშინდელი, ბოლოსწინა დღის მატჩებში მოულოდნელობა არ მომხდარა, თუმც ორივე თითქმის ბოლომდე დაძაბულად წარიმართა.

საქართველოს 14-გზის ჩემპიონს „სტუ-შევარდენს" ტაიმნახევარი კი მედგრად გაუძალიანდა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალა", თუმც ბოლოს ტექნიკოსებმა იოლად მოიპოვეს „დაგეგმილი" ორი ქულა. ათი გოლით კვლავ ყველაზე შედეგიანი იყო აკაკი ტალახაძე. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წინა ჩემპიონატთან შედარებით ნაკლებად აქტიურობს მაშინდელი ვიცებომბარდირი მამია კობახიძე, რომელიც ბოლო დროს ტრავმებმა შეაწუხა. სკოლელთაგან 12-ჯერ გაიტანა ირაკლი ქირიამ, ერთით ნაკლები მიხეილ საჯაიამ.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 112:94 | 8 |
| სტუ-შევარდენი | 2 | 0 | 1 | 95:81 | 4 |
| ქარიშხალა | 1 | 0 | 2 | 101:103 | 2 |
| თელავი | 1 | 0 | 2 | 81:79 | 2 |
| გორი | 0 | 0 | 3 | 81:113 | 0 |

„თელავს" „თბილისთან" შეხვედრაში ცდა და მონდომება არ დააკლდა, ქომაგთა ომახიანი მხარდაჭერით გამხნევებული მასპინძლები ბოლომდე ჟინით იბრძოდნენ და რვაბურთიანი ჩამორჩენა ბოლო წუთზე ორამდეც შეამცირეს, მაგრამ წინა დღეს თვით ჩემპიონ „სტუ-შევარდენის" მძლეველ თბილისელებთან მაინც ვერაფერს გახდნენ.

თბილისელთა მთავარმეგოლეებმა ლაშა სამარლანიშვილმა და ლევან გელაშვილმა 7-7-ჯერ გაიტანეს, ხოლო თელაველთაგან საუკეთესომ ალექსანდრე გიორგელაშვილმა 10 ზუსტი სროლა მიითვალა.

# ცეკვები ჰალიფაქსში

კანადაში გახურდა მასტერკარდის საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში. ჰალიფაქსის ყინულზე მოელვარედ და მოხდენილად ტრიალებდნენ კანადელი ბენ ფერეირა, ჩინეურ წყვილს, შუ შენს და ჰონგბო ჟაოს კი ყველაფერი მშვენივრად გამოუვიდათ.






REUTERS

# საძირკველში

2006 წლის აგვისტოში „არსენალი“ ახალ, „ემირატის“ სტადიონზე შეაბიჯებს, რომელიც აშბარტონ გროუვზე აშენდება. ამიტომაც მოურგავთ მუშური სამოსი არსენ ვენგერს, ტიერი ანრისა და პატრიკ ვიეირას. ამ მარად ყუთში კი ლეგენდარული „ჰაიბერის“ სტადიონის დაუვიწყარი ნივთები აწყვია. ყუთი ახალი სტადიონის საძირკველში ჩაიდება. ყუთში 40-მდე მეთოფური ნივთია, იმათ შორის 1913-14 წლების მაისურია და „ჰაიბერის“ მოდელი.




REUTERS



REUTERS

# კანადური გაკოჭვა

აი, გაკოჭვაც ასეთი უნდა. ეს კანადურ ლიგაში ამერიკულზე არანაკლებს იციან. ტორონტოელები მაიკი ფლეტჩერი და ჯეფ ჯონსონი მონრეალელ კალი მალვუს დასხმიან თავს. ისე კი, „მონრეალმა“ 58:20 გადაუარა „ტორონტოს“.



REUTERS

# მზის ჩასვლის შემდეგ

ოდესელი მოკრივე დიმიტრი სალიტა, მეტსახელად „დავითის ვარსკვლავი“ ნიუ იორკშია და თავისი ამერიკული ბრძოლისთვის ემზადება. მეტოქე პოლ დელგადოა, სალიტა კი მორწმუნე ებრაელია და შაბათს, მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ კრივობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge